ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოფიო მახარაძე

სასამართლო სისტემის კრიზისების რეპრეზენტაცია ქართულ სატელევიზიო მედიაში

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

ნაშრომი შესრულებულია მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: მანანა შამილიშვილი

ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

კვლევის მიზანს წარმოადგენს შესწავლა იმისა, თუ როგორ ხდება სასმართლო სისტემის კრიზისების რეპრეზენტაცია ქართულ სატელევიზიო მედიაში. ბოლო ერთი წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებაში მოსამართლეების მიმართ ნდობა დაბალია, დიდ მნიშვნელობას იძენს სასამართლო სისტემის მედიაში წარმოჩენის საკითხი; ასევე, როგორ იმიჯს უქმნის მედია სასამართლო სისტემასა და მოსამართლეებს. ამ კუთხით არა მხოლოდ სატელევიზიო მედიაზე დაკვირვებაა საყურადღებო, არამედ იმ ექსპერტთა მოსაზრებების გაგება, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ აღნიშნულ თემაზე, არიან კომუნიკაციის ექსპერტები, ან თავად წარმოადგენენ მედიასაშუალებას. საინტერესოა, როგორ ცდილობენ მოსამართლეები და სასამართლო სისტემის წარმომადგენლები მათ წინააღმდეგ გამოთქმული იმ მოსაზრებების გაბათილებას, რაც განსაკუთრებით მოქმედებს მათივე იმიჯზე.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ჩამოყალიბებულია შემდეგი ამოცანები:

- სასამართლოს საკითხების გაშუქებისას რომელ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას ჟურნალისტები და რესპონდენტები;
- როგორ ხდება მოსამართლეების/სასამართლოს წარმოჩენა - დადებითად თუ უარყოფითად (მოსამართლეები წარმოდგენილნი არიან კომპეტენტურებად, დამოუკიდებლებად, პროფესიონალებად, თუ არაკომპეტენტურისა და მართულის იმიჯით);
- სასამართლო სისტემის რამდენად მსგავსი/განსხვავებული თვითრეპრეზენტაცია ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების მხრიდან;
- რა არგუმენტებს იყენებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისების გასაბათილებლად და რამდენად დამაჯერებელია მათი კომენტარები;
- რა განსხვავებაა სატელევიზიო არხებს შორის სასამართლო სისტემის კრიზისული სიტუაციების გაშუქებისას.

სასამართლო სისტემის კრიზისების სატელევიზიო მედიაში რეპრეზენტაციის შესასწავლად გამოყენებულია თვისებრივი კვლევა, რომელიც მედიამონიტორინგსა და სიღრმისეულ ინტერვიუებს მოიცავს. მიღებული მონაცემები კი კონტენტ -ანალიზისა და დისკურის ანალიზის მეშვეობითაა გაანალიზებული.

კვლევის შედეგად აღმოჩდა, რომ სასამართლო სისტემა მედიაში უმეტესად წარმოჩენილია ნეგატიური კუთხით, კერძოდ, როგორც კლანური მმართველობის ორგანო, ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი და მთავრობის ინტერესების გამტარებელი, ბიუჯეტის არამიზნობრივად მხარჯველი, არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიმღები, არაკომპეტენტური და კორუმპირებული მოსამართლეებისგან შემდგარი. მედიამონიტორინგმა და ექსპერტთა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სასამართლო სისტემის წარმომადგენლები არგუმენტირებული მსჯელობით არ გამოირჩევიან და უმეტესად თავდაცვის პოზიციაში უწევთ ყოფნა. როგორც მედია, ისევე სასამართლო სისტემა პოლარიზებულია, რასაც პოლიტიკური ფრეიმი განაპირობებს.

Annotation

Sopio Makharadze

Judiciary system crises representation in Georgian television media

The aim of following research is to study judiciary system crises representation in Georgian television media. Due to recent developments and from the given fact that confidence in judges in the society is low, it is important how to represent the Judiciary system in the media and what image is created around the court and judges. In this regard it will be better to not only observe on television media, but also to examine of expert's opinion, who work directly on this field and are communication or the media experts. It is interesting how judges and memebers of court system try to abate the opinion which particulary affects on their image.

Based on the research aim, there are formed following tasks:

- During the coverage of judical system, which issues are mostly paid attention by Journalists and Respodents.
- How judges and court are represented in media? Positively or negatively? (In what way are they represented? as independent, professional civil servants or incompetent and partial)
- How differently or similarly are selfrepresented the judical system by the members (judges and others) of high council of justice.
- What kind of arguments are used by the judge members of council of justice and how are they formed/well-grounded in order to weakend the crisis of judical system.
- What kind of difference does exist among the media during the coverage crisises of Judical system.

In order to study judiciary system crises representation in Georgian television media qualitative research method, in particular, media monitoring and in-depth interview with experts were used. Content analysis and discourse analysis were used for analizing results.

The reserch turend out, judiciary system mostly is represented as institute which is managed by clan; under the influence of the goverment, squanderer of budget; recipient of unconstitutional desisions and the system which members are incompetent, corrupt. The research has revealed, argumentative discusionions not used by the members of judiciary system and they are mostly defence position. Media and judiciary system are polarized, what is conditioned by political frame.

სარჩევი

შესავალი **7**

1.ლიტერატურის მიმოხილვა **12**

1.1 სასამართლოს როლი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში 12

1.2 სასამართლოს გადაწყვეტილებები და საზოგადოებრივ აზრზე გავლენა 12

1.3 სასამართლო სისტემისა და მედიის ურთიერთმიმართება 15

1.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა და კრიზისების მართვა 18

1.5 მედია და საზოგადოებრივი აზრი 21

1.6 მედია, როგორც საჯარო სივრცე 22

2. კრიზისული სიტუაციების აღწერა და მედიაში გაშუქების ანალიზი **25**

2.1მეტროს მემანქანეების გაფიცვა 25

2.2 საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგი 31

2.3 „კორუფციის რისკების კვლევა სასამართლო სისტემაში“ 35

2.4 სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და თემიდა პრეზერვატივზე 42

2.5 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა 46

3. ექსპერტთა გამოკითვის შედეგები **59**

დასკვნა **64**

რეკომენდაციები **68**

გამოყენებული ლიტერატურა **70**

შესავალი

საკითხის დასმა და აქტუალობა

2018-2019 წლებში საქართველოს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესები რიგი მიზეზების გამო განსაკუთრებით აქტუალური გახდა. მაგალითისთვის შეგვიძლია გავიხსენოთ მეტროს მემანქანეების გაფიცვა, „ინფორმაციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის“ კვლევა საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგის შესხებ, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ანგარიში სასამართლო სისტემაში კორუფციული რისკების შესახებ, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა, მარიხუანას ლეგალიზაციის საკითხი და ა.შ. აღნიშნული შემთხვევები, რომლებიც შესაძლოა სასამართლო სისტემის კრიზისის მიზეზებად მივჩინიოთ, საკმაოდ მასშტაბურად გაშუქდა მონიტორინგის ქვეშ მყოფი ტელევიზიების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში. აქედან გამომდინარე, საინტერესოა როგორ წარმოჩინდება სასამართლო სისტემა მედიაში და როგორია მისი კომუნიკაციის სტრატეგია კრიზისული სიტუციების დროს. ჩვეულებრივ, კრიზისები სხვადასხვა ინსტიტუტის მიმართ საზოგადოების ნეგატიურ განწყობას იწვევენ. ამ ვითარებაში კი, ახალი ამბების მედია და ინტერნეტი გადამწყვეტ როლს თამაშობენ, რადგან ინსტიტუციების იმიჯი სწორედ მათი მეშვეობით ყალიბდება, დაინტერესებული მხარეები კრიზისის შესახებ არსებულ ინფორამციას უმეტესად ახალი ამბების ანგარიშებიდან იღებენ(Carroll and McCombs, 2003).

გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლო სისტემა კონსტიტუციურ, პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებაში ფუნდამენტურ როლს ასრულებს, არსებითი მნიშვნელობისაა გავიგოთ, თუ როგორ და რატომ იღებენ მოსამართლეები საკუთარი საქმიანობის შესრულებისას გარკვეულ გდაწყვეტილებებს (Heise, 2002, როგორც ნახსენებია Johnson, Reynolds, Mycoff, 2015). საზოგადოებრივ ცოდნას სასამართლო სისტემის შესახებ, პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, დიდწილად მედია განსაზღვრავს. შესბამისად, სასამართლო პროცესების მედიაში რეპრეზენტაცია საზოგადოების მიერ სასამართლოსა და მოსამართლების აღქმაზე საგულისხმო გავლენას ახდენს (Rosalee A.

Clawson, Harry C,2003). რაც შეეხება სასამართლოს სიტემის ავტორიტეტს, ბოლო პერიოდში ჩატერებული კვლევები აჩვენებს, რომ საზოგადოება სასამართლოების მუშაობით უმეტესად უკმაყოფილოა. მაგალითად, NDI/CRRC-ის მიერ 2019 წლის აპრილში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით[1], სასამართლოების მუშაობას ძალიან კარგად მხოლოდ 11%, ხოლი ცუდად მოსახლეობის 38% აფასებს. ასევე საზოგადოების ნდობა მოსამართლეების მიმართ საკმაოდ დაბალია, რასაც 2018 წლის სექტემბერში სასამართლოს შესახებ CRRC-ის მიერ ჩატარებული კვლევაც ადასტურებს[2]. მოსახლეობის მხოლოდ 19% უცხადებს ნდობას მოსამართლეებს, 46%-ის აზრით, მოსამართლეები დამოუკიდებლები არ არიან, ხოლო 48% ფიქრობს, რომ ისინი ამჟმინდელი ხელისუფლების ინტერესებს ემსახურებიან.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანია სასამართლო სისტემის კრიზისების რეპრეზენტაციის შესწავლა ქართულ სატელევიზიო მედიაში.

დასახული მიზნის შესაბამისად დასმულია შემდეგი ძირითადი **ამოცანები**:

- სასამართლოს საკითხების გაშუქებისას რომელ ასპექტებზე ამახვილებენ ყურადღებას ჟურნალისტები და რესპონდენტები;
- როგორ ხდება მოსამართლეების/სასამართლოს წარმოჩენა - დადებითად თუ უარყოფითად (მოსამართლეები წარმოდგენილნი არიან კომპეტენტურებად, დამოუკიდებლებად, პროფესიონალებად, თუ არაკომპეტენტურისა და მართულის იმიჯით);
- სასამართლო სისტემის რამდენად მსგავსი/განსხვავებული თვითრეპრეზენტაცია ხდება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების მხრიდან;
- რა არგუმენტებს იყენებენ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისების გასაბათილებლად და რამდენად დამაჯერებელია მათი კომენტარები;

[1] https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public_Political%20Poll_GEO_Final.pdf

[2] http://crrc.ge/project/facilitating-implementation-of-reforms-in-the-judiciary-fair/101/5c07b4422f27a

- რა განსხვავებაა სატელევიზიო არხებს შორის სასამართლო სისტემის კრიზისული სიტუაციების გაშუქებისას.

საკვლევი ამოცანების შესაბამისად შემუშუშავებულია შემდეგი **ჰიპოთეზა:**

სასამართლო სისტემა ქართულ სატელევიზიო მედიაში რეპრეზენტირდება უარყოფით კონტექსტში მიუხედავად არხების პოლარიზებისა. აღნიშნული გამომდინარეობს იქიდან, რომ სასამართლო სისტემის მიმართ მოსახლეობის ნდობა ძალიან დაბალია. სასამართლოში მიმდინარე პროცესების გაშუქებისას რესპონდენტები მოსამართლეებს ცალსახად აკრიტიკებე. თავად მოსამართლები კი მედიასთან თითქმის არ საუბრობენ.

კვლევის მეთოდური ნაწილი

მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები:

კვლევა ორი ნაწილისგან შედგება: სასამართლო სისტემის მედია მონიტორინგი და ექსპერტთა გამოკითხვა. მოპოვებული მონაცმები კონტენტ-ანალიზისა და დისკურსის ანალიზის საშუალებით გავაანალიზე. მედია მონიტორინგის თვისებრივი კონტენტ-ანალიზი ყურადღებად ისეთ საკითხებზე ამახვილებს, როგორებიცაა: სასამართლოს სისტემის კომუნიკაცია მედიასთან კრიზისული სიტუაციების დროს, გამოსწვევებსა და რეფორმებზე მსჯელობისას, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრების კომუნიკაცია და პოზიციები, სასამართლოს პროაქტიურობა მიმდინარე პროცესების გაშუქებისას. დისკურსის ანალიზმა კი საშუალება მომცა გამეანალიზებინა, როგორ ცდილობენ ჟურნალისტები და რესპონდენტები სასამართლო სისტემის იმიჯის შექმნას.

სასამართლო სისტემის კომუნიკაციის მონიტორინგი 2018 წლის 15 მაისიდან 15 აგვისტომდე პერიოდს მოიცავს. დაკვირვება სამი სატელევიზიო არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე მიმდინარებდა: „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველ არხზე“, „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე. სატელევიზიო მედიაზე დაკვირვება გადავწყვიტე, იმიტომ, რომ 2018 წლის სექტემბერში სასამართლოს შესახებ CRRC-

საქართველოს მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად[3], საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის უმრავლესობა (63%) სასამართლოს შესახებ ინფორმაციას ტელევიზიიდან იღებს.

ექსპერტთა გამოკითხვა ხუთ სიღრმისეულ ინტერვიუს მოიცავს მედიისა და მასობრივი კომინიკაციის ექსპერტებთან, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტებთან და მკვლევრებთან. რესპონდენტთა შერჩევა თოვლის გუნდის მეთოდით გახორციელდა. ექსპერთა გამოკითხვა ყურადრებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: ქართული სატელევიზიო მედია გარემოსა და სასამართლო სისტემის მედიაში რეპრეზენტაციის შეფასება, მოვლენები, რომლებმაც მათი აზრით შესაძლოა გავლენა მოახდინოს სასამართლო სისტემის იმიჯზე, რეკომენტაციბი თუ როგორი შეიძლება იყოს კომუნიკაცია მედიასა და სასამართლო სისტემას შორის მეტი სანდოობისთვის.

ნაშრომის მეცნიერული მნიშვნელობა: ჩემს მიერ ჩატარებული კვლება სასამართლო სისტემის კრიზისების რეპრეზენტაციის შესახებ ქართულ სატელევიზიო მედიაში პირველია აკადემიურ სივრცეში. უკვე არსებული კვლევებიდან, რომელიც სასამართლო სისტემას ეხება, არცერთის ფოკუსი ყოფილა კრიზისული სიტუაცების დროს კომუნიკაციაზე დაკვირვება. აქედან გამომდინარე, აღნიშნულმა კვლევამ ქართველი სტუდენტები, მკვლევრები შესაძლოაა დააინტერესოს.

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევა შესაძლოა საინტერესო ოყოს თავად სასამართლო სისტემის წარმოამდგენლებისთვის, რადგან ნაშრომში დეტალურადაა განხილული სასმართლო სისტემის კრიზისების დროს მათი კომინიკაცია მედიასთან და კარგად ჩანს ის შეცდომები, რომლებსაც მოსამართლეები კომუნიკაციის დროს უშვებენ. ასევე კვლევა შესაძლოა საინტერესო აღმოჩნდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერებისთვის.

კვლევის შეზღუდვები: კვლევის შეზღუდვას წარმოადგენს ის, რომ კვლევის ფარგლებში არ მქონდა საშუალება მოსამართლეებთან ჩამეტარებინა სიღრმისეული ინტერვიუები, ჩართული დაკვირვება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხოდმებსა და გახმაურებული

[3] http://crrc.ge/project/facilitating-implementation-of-reforms-in-the-judiciary-fair/101/5c07b4422f27a

საქმეების პროცესებზე, რათა უშუალოდ მომესმინა მათი მოსაზრებები და შემდეგ მედიაზე დაკვირვების შედეგად გამეანალიზებინა სხვაობა. გარდა ამისა, ძალიან ცოტა ექსპერტი საქართველოში მოიძებნება, რომელიც უშუალოდ ამ მიმართულებით ატარებს კვლევას, შესაბამისად, ჩემს მიერ გამოკითხულ ექსპერტთა რიცხვიც მცირეა.

1.ლიტერატურის მიმოხილვა

1.1 სასამართლოს როლი ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში

ამერიკულ დემოკრატიულ თეორიებში ეროვნული პოლიტიკის შემუშავებაში უზენაესი სასამართლოს როლი დიდი ხანია დავის საგანია, თუმცა საკონსტიტუციო და სამართლებრივი მეცნიერებები იმ გარემოების შესახებ ცალსახად თანხმდებიან, რომ პოლიტიკურ პროცესებზე სასამართლოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. მოსფლიოში არსებულ სასამართლო გაერთიანებებს შორის, წარსულშიც და ახლაც, ამერიკის უზენაესი სასამართლო, როგორც უნიკალური ძალის მქონე პოლიტიკური ინსტიტუცია, ყველაზე მეტად გამოსარჩევია. ისტორიის განმავლობაში სხვა არცერთი სასამართლო ყოფილა ისე თანმიმდევრულად, მუდმივად ჩართული მთავრობის პოლიტიკის შემუშავებაში, როგორც- ამერიკის. ამერიკული სასამართლოს ინტერპრეტაციული და პოლიტიკური ძალაუფლება იმაში მდგომარეობს, რომ მას აქვს კონგრესის იმ გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება, რომლებიც მის მიერ არაკონსტიტუციურად მიიჩნევა. მართალია იურიდიული საკითხების ვრცელი თეორიული მიდგომები, რომლებიც ზოგად ცნებებშია მოქცეული, ერთ კონკრეტულ ინტელექტუალურ დიქოტომიამდე არ დაიყვანება, თუმცა, მიუხედავად ამისა, სამართლებრივი საკითხების მიმომხილველები იურიდიულ პრობლემატიკას ორი მიმართულებით წარმოაჩენენ, ესენია: იურიდიული აქტივიზმი და იურიდიული თვითშეზღუდვა. ორივე მიდგომის წარმომადგენლებს საერთო ის აქვთ, რომ ისინი ამერიკულ უზენაეს სასამართლოს უმრავლესობის ტირანიისაგან უმცირესობის დაცვის ბერკეტად განიხილავენ (Levy,1967, როგორც ნახსენებია Funston, 2014).

1.2სასამართლოს გადაწყვეტილებები და საზოგადოებრივ აზრზე გავლენა

„იქიდან გამომდინარე, რომ მოსამართლეები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კონსტიტუციურ, პოლიტიკურ, სოციალურ ცხოვრებაში, აქსიომატური მნიშვნელობისაა, რომ გავიგოთ თუ როგორ და რატომ იღებენ მოსამართლეები საკუთარი საქმიანობის შესრულებისას გადაწყვეტილებებს“ (Heise, 2002, როგორც ციტირებულია Johnson, Reynolds, Mycoff, 2015, გვ.25)

ამერიკის შეერთებული შტატების უზენაეს მოსამართლეთა გადაწყვეტილებები საყურადღებოა იმ მხრივ, რომ ისინი არჩევითი თანამდებობის პირები კი არ არიან, არამედ უვადოდ ინიშნებიან. ამავდროულად, მათმა გადაწყვეტილებებმა შესაძლოა საჯარო მოხელეები და სხვა მოსამართლეებიც შეზღუდოს. იქიდან გამომდინარე, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საკმაოდ მასშტაბურ არეალს მოიცავს, ეს პროცესი მრავალი მკვლევრის ყურადღებას იპყრობს. მკვლევართა ერთი ნაწილი ადასტურებს, რომ მიღებული გადაწყვეტილებები სამართლებრივ დოქტრინებსა და პრეცენდენტებზეა დამოკიდებული, რადგან უზენაესი სასამართლოს საბჭოს მოსამართლეები პატივს სცემენ მათ წინამორბედ მოსამართლეებს, რომლებმაც სხვადასხვა გადაწყვეტილება კანონის უზენაესობის საფუძველზე მიიღეს. ზოგადად, მიჩნეულია, რომ მოსამართლეების გადაწყვეტილებები შესაბამის სამართალებრივ პრეცენდენტებზეა დამოკიდებული (როგორც განხილულია Johnson, Reynolds, Mycoff, 2015).

სასამართლო გადაწყვეტილებების მკვლევართა მეორე ნაწილის თქმით კი, მოსამართლეები გადაწყვეტილებებს თავიანთ პოლიტიკურ ღირებულებებსა და ფასეულობებზე დაყრდნობით იღებენ. აქ ხაზგასმთ აღნიშნავენ იმ ფაქტორს, რომ ვინაიდან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები თანამდებობაზე უვადოდ ინიშნებიან და შესაბამისად, სამსახურის შენარჩუნებაზე ნაკლებად ფიქრობენ, ისინი თვლიან, რომ ვალდებულნი არ არიან საკუთარი გადაწყვეტილებები საზოგადოების წინაშე განმარტონ. ეს გარანტია კი მათ ხელს უწყობს იმაში, რომ გადაწყვეტილებები საკუთარი პოლიტიკური ფასეულობებისა და ღირებულებების შესაბამისად მიიიღონ (Youngsik Lim, 2000, როგორც ნახსენებია Johnson, Reynolds, Mycoff, 2015).

ვალერი ჯ. ჰოეკსტრამ აღმოაჩინა, რომ უზენაესი სასამართლო საზოგადეობის მხრიდან იმაზე მეტი მხარდაჭერით სარგებლობს, ვიდრე კონგრესი, ან პრეზიდენტი. თუმცა ჰოეკსტრამ ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად ჭარბი ნდობისა და მხარდაჭერისა, სასამართლოს გადაწყვეტილებები საზოგადოებრივ აზრზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს. ამ გარემოების მიზეზი კი ის არის, რომ საზოგადოება სასამართლოში განსახილველ, ან განხილულ საქმეებს ნაკლებად იცნობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ის ადამიანები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მხარდამჭერები არიან, ხშირად

სასამართლოს მიმართ თავიანთ პოზიციას კონკრეტულ საკითხზე გამოტანილი განაჩენის მიხედვით იცვლიან. საზოგადოების ის ნაწილი, რომლისთვისაც კონკრეტულ საქმეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით უკმაყოფილო დარჩა, ნაკლებად ენდობა სასამართლოს, ხოლო ვისთვისაც გადაწყვეტილება მისაღები გახლდათ- პირიქით. სხვა სიტყვებით, სასამართლო ინსტიტუტის მიმართ ნდობის ცვლილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ესა თუ ის საკითხი საზოაგადოებისთვის(Hoekstra, 2003, როგორც ნახსენებია Johnson, Reynolds, Mycoff, 2015).

ჯონსონს და მარტინს მიაჩნიათ, რომ სასამართლო გადაწყვეტილებები მრავალმხრივ საყურადღებოა, რადგან ალბათობა იმისა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება საზოგადოებრივ ყურადღებას მიიპყრობს ერთმნიშვნელოვნად დიდია. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე მიღებულმა თავდაპირველმა განჩინებებმა შესაძლოა საკმაო გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე ((Johnson and Martin, 1998).

მოსამართლეებში არსებულმა ინსტიტუციონალური მხარდაჭერის მოპოვების სურვილმა, შესაძლოა საზოგადოებრივი აზრისადმი მომეტებული მგრძნობელობა გამოიწვიონ. თუმცა ცხადია, რომ ამ ვითარებაში მოსამართლეებმა უნდა შეძლონ გარკვეული ბალანსის დაცვა და რიგი გადაწყვეტილებები თავიანთი ინტერესების საწინააღმდეგოდაც მიიღონ. აუცილებელია, რომ მოსამართლემ, კონკრეტული განაჩენის გამოტანისას, საკუთარი ინტერესებისა და მიზნების როლისა და გავლენის შეფასება შეძლოს. შესაბამისად, ყველაზე მნიშვნელოვანი შემთხვევების განხილვისას, მოსამართლეები გარკვეული დილემის წინაშე დგანან, ან მიყვნენ კანონიერ განხილვებს, ან -საკუთარ პირად იდეოლოგიასა და ღირებულებებს (Bartels n.d.; Unah and Hancock 2006, როგორც ნახსენებია C J. Casillas, K. Enns C. Wohlfarth, 2010). თუ კი სასამართლოს მიმართ არსებული მხარდაჭერის მარაგი მოსამართლეებს შეაძლებინებს, რომ კონკრეტულ საქმეებზე მიმართულ ნეგატიურ ყურადღებას გაუძლონ, ისინი ამ კაპიტალს გადამწყვეტი საკითხების განხილვისას გამოიყენებენ. როგორ წესი, ასეთ დროს, მოსამართლეთა ინდივიდუალურ პრეფერენციებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ.

1.3 სასამართლო სისტემისა და მედიის ურთიერთმიმართება

მკვლევრები აღნიშნავენ, რომ სასამართლოსა და მასმედიას შორის არსებული ურთიერთმიმართების შესწავლა რამდენიმე მიზეზის გამო მნიშვნელოვანია: სასამართლო სისტემის ავტორიტეტის ზრდა; მასმედიის ძლევამოსილება და უფლებების რევოლუცია. მათ კვლევის ფარგლებში ფრანგულენოვანი და ინგლისურენოვანი მედია (ტელევიზია, გაზეთები, ტაბლოიდები) შეისწავლეს და დაასკვნეს, რომ ერთი წლის განმავლობაში მედიის ყურადღების ცენტრში ისეთი საკითხები მოხვდა, რომლებიც ბრალის მორალურ საკითხებზე წაყენებას უკავშირდებოდა. რეპორტაჟების კონტენტანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მედია მხარეებს შორის არსებული კონფლიქტების გაშუქებისკენ ისწრაფვის, რასაც ისინი სტატეგიულ ჩარჩოს უწოდებენ (strategic frame). მხოლოდ ძალიან მცირე შემთხვევათა რაოდენობა აღმოჩნდა ისეთი, რა დროსაც მედიამ სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხი იმ ჩარჩოში გააშუქა, რომელიც წმინდად იურიდიულ საკითხებზეა ფოკუსირებული. უმეტესად მედია მიდრეკილია კონფლიქტებისა და ძალადობის გაშუქებისკენ (Sauvageau, Schneiderman, Taras, 2006).

ავტორები სკანდალური ვითარებების შემთხვევაში მედიის გავლენის როლზეც ამახვილებენ ყურადღებას. მათი აზრით, ჟურნალისტებს საკმაო ძალაუფლება აქვთ, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი თავაინთი ინტერესების მიხედვით არჩევენ თუ რომელი სასამართლო გადაწყვეტილება გაშუქდება და რომელი- არა, ან რომელი სიუჟეტი იქნება გამოშვების დასაწყისში და რომელი -ახალი ამბების ბოლო ბლოკში, რომელი ამბავი დაიბეჭდება გაზეთის მთავარ გვერდზე, ან გადაწყვეტილების რომელი ნაწილი იქნება განხილული და ვინ გააკეთებს კომენტარს. მაშასადამე, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ მოსამართლეები არსებულ პროცესზე ყოველგვარ კონტროლს კარგავენ. მათ არ ძალუძთ იმის გაკონტროლება, თუ როგორ მივა გარკვეული ამბავი საზოგადოებამდე. მოსამართლეები დამოკიდებულნი არიან ჟურნალისტებზე, რომლებიც სასამართლო დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებს საკუთარ შეხედულებებს აწერენ (Sauvageau, Schneiderman, Taras, 2006) .

სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების მედიაში გაშუქება, რამდენიმე თვალსაზრისით, საკმაოდ სპეციფიკური რამაა. უპირველეს ყოვლისა, არ უნდა დაირღვეს კონსტიტუციური პრინციპი, რომლის მიხედვითაც სასამართლო და მოსამართლე დამოუკიდებელია. ასევე მნიშვნელოვანია უდანაშაულობის პრეზუმციის დაცვა, სამართალწარმოების დემოკრატიულობა და საჯაროობა, კანონის წინაშე ყველას თანასწორობა. იქიდან გამომდინარე, რომ მართლმსაჯულება სამართლებრივი, ზნეობრივი სახელმწიფოს ერთ-ერთი განმაპირობებელია, სასამართლო უნდა სარგებლობდეს საზოგადოების მაღალი ნდობით. ასევე აუცილებელია, რომ მოსამართლეებმა თავი დაიცვან უსაფუძვლო თავდასხმებისგან(ალფაიძე, 2008). მაგრამ, მეორე მხრივ, ჟურნალისტების მხრიდან სასამართლოს მისამართით გამოთქმული არგუმენტირებული, ობიექტური კრიტიკა სასამართლოს მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორების მიზეზი არაერთხელ გამხდარა. მაგალითისთვის, შესაძლოა გავიხსენოთ ბრიტანეთში მკვლელობისთვის გასამართლებული ერთ-ერთი უდანაშაულო ბრალდებული. როგორც ცნობილია, ამ განაჩენის გადასინჯვა მხოლოდ ადგილობრივი გაზეთის რედაქტორის მიერ წარმოებული საქმიანობის შედეგად გახდა შესაძლებელი (Backer, 1995, როგორც ნახსენებია, ალფაიძე, 2008). თუმცა ასევე არის შემთხვევები, როდესაც სასამართლოს მიმართ გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები, განაჩენის რაგვარობის შესახებ პრესაში არსებული მოსაზრება, მოსამართლეთა მხრიდან სასამართლო ხელისუფლების შეურაცხყოფად, ან მოსამართლის ღირსების შელახვად აღიქმება (ალფაიძე, 2008).

უზენაესი სასამართლო ყოველთვის ისეთ გადაწყვეტილებებს იღებს, რომლებიც სიღრმისეულ პოლიტიკურ განაზრებათა გამოძახილია, თუმცა, უმეტესად, სასამართლო პოლიტიკურ პროცესებთან მიმართებით ქმნადი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების საშუალებას სხვა ინსტიტუციებსა და აქტორებს აძლევს. მედია მნიშვნელოვან როლს თამაშობს სასამართლო გადაწყვეტილებების ფორმირებაში. სწორედ მედია განაპირობებს იმას, თუ რა კუთხით წარმოჩინდება სასამართლო გადაწყვეტილებები. სამწუხაროდ, კვლევები, რომლებიც მედიაში სასამრთლოს გაშუქებას შეისწავლიან საკმაოდ მცირე რაოდენობისაა. სავარაუდოდ, სასამართლო გადაწყვეტილებებს ყველა მედია განსხვავებული ჩარჩოების მეშვეობით გადმოსცემს.

თავის მხრივ, ჩარჩოს რაგვარობაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას (როგორც აღნიშნულია Rosalee A. Clawson, Harry C,2003).

ამერიკის უზენაესი სასამართლო გულმოდგინედ იცავს სასამართლო ინსტიტუტის, როგორც კონსტიტუციის აპოლიტიკური დამცველის იმიჯს. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ სასამართლო გაწაფულია მამხილებელი მედიისა და პრესის კონტროლში. ამით ის უკვდავყოფს მითს, რომ სასამართლო არის ერადერთი ინსტიტუტი, რომელიც კონსტიტუციას ექსკლუზიურად აღჭურვილი უფლებამოსილებით იცავს და ინტერპრეტირებს. ერთი მხრივ, სასამართლოს, როგორც გაუთქმელობის დამცველის იმიჯს, დიდი წვლილი შეაქვს განსაკუთრებით მყარი და მაღალი დონის მასობრივ მოწონებაში (Marshall, 1989; Mondak & Smithey, 1997, როგორც ნახსენებია Rosalee A. Clawson, Harry C,2003). მეორე მხრივ, სასამართლო, თავისი პოლიტიკის გამოსახატად, პრესას და მედიას აქტიურად იმიტომ არ ქირაობს, რომ ისინი დაინტერესებული მხარეების ინტერესებს ემსახურებიან და ფრეიმინგის ეფექტს იყენებენ. იმის გამო, რომ სასამართლოს არ ძალუძს მედიაზე უშუალო ზემოქმედება, განსხვავებით სხვა პოლიტიკური აქტორებისაგან, სასამართლო თავისი გააწყვეტილებების სხვადასხვა ჩარჩოში ფორმირების შესაძლებლობას ტოვებს. შესაბამისად, პრესა და ტელევიზია აშკარად განსაკუთრებულ როლს თამაშობენ სასამართლოს მიერ გამოხატული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ნაკადის შექმნაში (Franklin & Kosaki, 1995). ძველი კვლევების თანახმად, სასამართლოს გაშუქება თვისებრივად განსხვავდება კონგრესისა და პრეზიდენტის გაშუქებისაგან. სასამართლოს შესახებ მომზადებული მოხსენებები მიდრეკილია იმისაკენ, რომ უფრო მეტად სელექციური და ეპიზოდური იყოს(Graber, 1993, როგორც ნახსენებია Rosalee A. Clawson, Harry C. 2003). ის უმეტესად სამოქალაქო უფლებებსა და პირველი შესწორების საკითხებზეა კონცენტრირებული. უფრო მეტიც, ხშირ შემთხვევაში ის მიდრეკილია იყოს მცდარი, არასწორი (Slotnick & Segal, 1998, როგორც ნახსენებია Rosalee A. Clawson, Harry C. 2003).

დევისმა აღმოაჩინა, რომ, განსხვავებით სასამართლოსაგან, გარკეულ შემთხვევებში მომჩივანი მხარეები, მათი პოზიციების გასამყარებლად, მედიას ქირაობენ (Davis ,1994, როგორც ნახსენებია Rosalee A. Clawson, Harry C,2003). კალდეირამ კი აღნიშნა, რომ ის ლობისტური ჯგუფები, ვინც მედია საშუალებებს ყურადღების მოსაპყრობად ქირაობენ,

სასამართლოს აპოლიტიკურად რაცხავენ. ავტორი ვარაუდობდა, რომ ზემოხსენებული სწორედ მედია ფრეიმინგის შედეგია (Caldeira,1986). მაშასადამე, მეინსტრიმული მედია, სასამართლოს გაშუქებისას, მიდრეკილია ხაზი გაუსვას გადაწყვეტილებების კანონიერ საფუძველს და ამიტომ სასამართლოს შესახებ ჩამოყალიბებულ საზოგადოებრივ აზრს, დიდწილად მედია გნსაზღვრავს. თავისთავად ცხდია, რომ ამ ცოდნაზე გავლენას აპოლიტიკური ფრეიმი ახდენს. დღესდღეობით ბევრი მედია საშუალება არსებობს, რომელიც სხვადასხვა სეგმენტის მოსახლეობაზეა გამიზნული და ყველა მათგანი, თავისი სეგმენტიდან გამომდინარე, სასამართლოს გადაწყვეტილებებს განსხვავებული ეფექტითა და განსხვავებული გზით აშუქებს. თუ, ერთი მხრივ, მედიაში სასამართლო პროცესების რეპრეზენტაცია საზოგადოების აღქმის განმაპირობებელი და მაფორმირებელია, მეორე მხრივ, საზოგადოების წარმოსახვაში სასამართლოს იმიჯის კონსტრუირება საზოგადეობრივი მოლოდენიბიდანაც გამომდინარეობს. საზოგადოებას აქვს გარკვეული მოლოდინი და წარმოდგენა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განვითარდეს და გამოიყურებოდეს სამართლებრივი პროცესები. თუმცა უნდა ითქვას, რომ საზოგადოებრივ მოლოდინებს ძირითადად მაინც მედია აყალიბებეს. მედიის მიერ ნაწარმოები საზოგადოებრივი მოლოდინები გავლენას ახდენენ სასამართლოს რეალურ სახეზე. მედია ქმნის გარკვეულ წარმოდგენებს იმაზე, თუ როგორ ახორციელებს სასამართლო სისტემა პროცედურებს, მაგალითად, როგორ იქცევიან მხარეები პროცესებზე, როგორ გადაისინჯება კონკრეტული შემთხვევები მოსამართლის და ადვოკატის მიერ სასამართლოში, და ა.შ. მედია უკვე ჩამოყალიბებული წარმოდგენებისა და მოლოდინების მიხედვით აკონსტრუირებს სასამართლოს იმიჯს, რომელიც, საბოლოოდ, საზოგადეობის დადებით დამოკიდებულებებსაც იწვევს. შედეგად, სასამართლოს მედია პორტრეტები სამართლებრივ სისტემას დრამატიზმითა და გასართობი ახალი ამბების ელემენტებით ავსებენ როგორც აღნიშნულია Rosalee A. Clawson, Harry C,2003).

1.4 საზოგადოებასთან ურთიერთობა და კრიზისების მართვა

საზოგადოებასთან ურთიერთობის ოთხი კლასიკური მოდელიდან სასამართლო კრიზისების მართვას შეიძლება მივუსადაგოთ ორმხრივი სიმეტრიული, რომლის

მიზანია ორმხრივი გაგების მიღწევა კომუნიკატორსა და მიმღებს შორის. არსებული მოდელის შემთხვევაში ზოგადი კვლევა გამოიყენება იმის შესასწავლად, როგორ აღიქვამს და იღებს საზოგადოება ორგანიზაციას და როგორი პოლიტიკა უნდა განახორციელოს ორგანიზაციამ. ხოლო შეფასებითი კვლევა გამოიყენება იმის გასაზომად, რამდენად გააუმჯობესა საზოგადიებასთან ურთიერთობამ ამა თუ იმ საკითხის აღქმა. ამ მოდელს იყენებენ ის ორგანიზაციები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ საკითხების იდენტიფიცირებასა და გამოკვეთაში, კრიზისისა და რისკის მართვასა და გრძელვადიან დაგეგმვაში (Grunig, Hunt, 1984).

ზოგადად, კრიზისები საფრთხეს უქმნის ორგანიზაციის რეპუტაციას, თუმცა პოსტ კრიზისული კომუნიკაცია შესაძლოა რეპუტაციის დაზიანების თავიდან ასაცილებლად იქნას გამოყენებული. სიტუაციური კრიზისების კომუნიკაციის თეორია, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჩარჩოების გააზრებით, პოსტ კრიზისული კომუნიკაციის მეშვეობით რეპუტაციის მაქსიმალურ დაცვას უზრუნველყოფს (Coombs and Holladay, 2005).

რეპუტაცია ორგანიზაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მეშვეობით რესტავრირდება. ინფორმაციის მიღება კი, უშუალოდ ორგანიზაციასთან ურთიერთობით, საინფორმაციო საშუალებებითა და სოციალური მედიით არის შესაძლებელი. შესაბამისად, მედია ამ პროცესშიც მნიშვნელოვანია. რეპუტაციის კრიზისი საფრთხის შემცველია, რადგან კრიზისული ვითარებები ორგანიზაციის მიმართ უარყოფით განწყობებსა და დამოკიდებულებებს განაპირობებენ. ახალი ამბების მედია და ინტერნეტი ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობენ, რადგან მენეჯმენტი, დაინტერესებული მხარეები, კრიზისს სწორედ მასმედიის მეშვეობით შეისწავლიან და მათი გადალახვის სტრატეგიასაც მედიიდან გამომდინარე ადგენენ (Carroll and McCombs, 2003).

ფომბრანი და ვან რიელი კრიზისის შედეგად რეპუტაციის დაზიანებას, ან საბოლოოდ განადგურებას, სოციალური კაპიტალის დაკარგვად რაცხავენ, თუმცა ის რეპუტაცია და სოციალური კაპიტალი, რომელიც ორგანიზაციას კრიზისამდე ჰქონდა შესაძლოა ამ კრიზისის გადასალახად იქნას გამოყენებული. შესაბამისად კაპიტალის რაოდენობა

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ნებისმიერი ორგანიზაციისათვის (Fombrun and Van Riel, 2004).

დევიდ ვეინერი ნაშრომში "კრიზისული კომინიკაციები" აღწერს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ორგანიზაცია კრიზისის პერიოდში: 1. ორგანიზაციამ პატივი უნდა სცეს მედიის როლს- მედია არის „მტერი" და იმის მაგივრად, რომ თავი აარიდოთ, გამოიყენეთ მედია, როგორც ძირითადი მესიჯის გამავრცელებელი; 2. კომუნიკაცია, კომუნიკაცია, კომუნიკაცია- კრიზისის მართვის პირველი წესია კომუნიკაცია. ადრეული საათები კრიტიკულია, ისინი ქმნიან ტონს კრიზისის ხანგრძლივობისთვის. მედიის პირველი კითხვები სავარაუდოდ მარტივია: რა მოხდა? როდის გაიგეთ ამის შესახებ? ვისი ბრალია.? და ა.შ. 3. პასუსხისმგებლობის აღება-კრიზისის მენეჯმენტის უფრო მეტად სადავო პრინციპია. ამ პრინციპის მიხედვით, აუცილებელია, რომ ვინმე ჩართული იყოს კრიზისში და მზად იყოს ემპათიისთვის, საჯაროდ ბოდიშის მოხდისთვის. ეს განსხვავდება დამნაშავის სტატურის მიღებისგან; 4. ინფორმაციის ცენტრალიზება-კომპანიას სჭირდება სწრაფად მოქმედება, რათა შეიძინოს კონტროლი ინფორმაციასა და გადაწყვეტილებებზე; 5. კრიზისების გუნდის შექმნა- შეიქმნას და გაიწვრთნას კრიზისების გუნდი მანამ, სანამ ორგანიზაციას კრიზისი თავს დაატყდება; 6. „გეგმა ყველაზე ცუდისთვის, იმედი საუკეთესოსთვის"- ივარაუდეთ ყველაზე ცუდი სცენარი და განავითარეთ შესაძლებლობები დღეებითა და საათებით ადრე, წინასწარ გააკეთე პროგნოზი მოსალოდნელი შედეგების შესახებ და დასახე გეგმა; 7. კომუნიკაცია თანამშრომლებთან- გახსოვდეთ, რომ ისინი არიან „ელჩები" კრიზისში. დარწმუნებული იყავით, რომ ისინი გათვითცნობიერებულნი არიან იმაში, რასაც კომპანია კრიზისის გამკლავებისათვის აკეთებს; 8. მესამე მხარე- გამოიყენეთ მესამე მხარე, რათა ისაუბროს თქვენი ორგანიზაციის შესახებ. ისინი ისაუბრებენ როგორც მოწმეები და ხშირად მათ უფრო მეტი ნდობა აქვთ, ვიდრე კრიზისის ცენტში მყოფ ორგანიზაციას; 9. კვლევის გამოყენება პასუხების მისაღებად- საზოგადოებრივი დამოკიდებულების, განწყობების შესწავლა კრიზისის შესახებ და მონიტორინგი; 10. საიტის შექმნა- თუ გარემოებები იძლევა საშუალებას, შექმენით საიტი, რათა ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია სწრაფად გაავრცელოთ (Weiner, 2006).

1.5 მედია და საზოგადოებრივი აზრი

“ის სურათები, რომლებსაც მიჰყვებიან ადამიანთა ჯგუფები, ან ინდივიდები, რომლებიც ჯგუფის სახელით მოქმედებენ, საზოგადოებრივი აზრებია“ (Lippmann, გვ.19). საზოგადოებრივი აზრი უნდა ორგანიზდეს პრესისთვის, თუ ისინი ჯანსაღნი არიან, და ისე არ უნდა ხდებოდეს, როგორც ეს დღეს არის. გაზეთები დემოკრატების მხრიდან განიხილება როგორც მათი დეფექტებისაგან პანაცია (ხსნა), მაშინ როცა ახალი ამბების ბუნება და ჟურნალიზმის ეკონომიკური ბაზისი აჩვენებს, რომ გაზეთები აუცილებლად და გარდაუვალად აირეკლავენ და მაშასადამე, მცირედ თუ დიდად, აინტენსიურებენ დეფექტირებული საჯარო აზრის ორგანიზაციას (Walter Lippmann, Public opinion).

უოლკოქსი და კამერონი ნაშრომში „საზოგადოებრივ აზრი და დარწმუნება“ საზოგადოებრივ აზრზე მედიის გავლენას განიხილავენ. მათი თქმით, ადამიანები გადაწყვეტილებას დამოუკიდებლად იშვიათად იღებენ. ისინი ცნობილი სახეების, ექიმების, ოფიციალური პირების და ზოგადად მედიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან. საზოგადოებასთან ურთიერთობის პროფესიონალები საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას ამ ლიდერებზე ზემოქმედების მეშვეობით ცდილობენ (უილკოქსი, კამერონი, 2011).

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ საზოგადოებაში არსებულ მრავალ განსახილველ საკითხთა შორის ცალსახა კონსენსუსს ძალიან ცოტა მათგანი იწვევს. შესაბამისად, საზოგადოებრივი აზრი რამდენიმე მიმართულებით დაყოფილი და პოლარიზებულია. ელიზაბედ ნოელე-ნოიმანის ,,დუმილის სპირალის“ თეორიის თანახმად, საზოგადოებრივ აზრი შესაძლოა მნიშვნელოვანი ფატორი გახდეს ადამიანთა აზროვნებაზე გავლენის მოსახდენად. მკვლევარი საზოგადოებრივ აზრს განმარტავს, როგორც საკამათო საკითხების შესახებ საჯაროდ გამოხატულ მოსაზრებებს. საზოგადოებრივი აზრი თავს ახვევს საზოგადოების იმ წევრებს, რომლებსაც სურთ საზოგადოების სხვა წევრებისგან გაუცხოებას თავი აარიდონ (უილკოქსი, კამერონი, 2011).

საზოგადოებრივი აზრის უმთავრესი მაფორმირებელი საზოგადოებრივი დისკუსიაა. საზოგადოებრივ აზრს სოციოლოგების აზრით აყალიბებენ ადამიანები, რომლებიც არიან:

1. საკითხით უაღრესად დაინტერესებულები;

2. საკითხის შესახებ სხვა ადამიანებზე უკეთესად ინფორმირებულები,

3. მასმედიის ხარბი მომხმარებლები,

4.ახალი იდეების ადრე მიმღებნი,

5. კარგი ორგანიზატორები, რომლებიც სხვა ადამიანებს მოქმედებისკენ უბიძგებენ (უილკოქსი, კამერონი, 2011, გვ.216).

1.6 მედია, როგორც საჯარო სივრცე

უოლკოქსისა და კამერონის მსგავსად, რომლებიც საზოგადოებრივი აზრის უმთავრეს მაფორმირებლად საზოგადოებრივ დისკუსიას აცხადებენ (უილკოქსი, კამერონი, 2011), სწორედ საზოგადოებრივი დისკუსიის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას გერმანელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი იურგენ ჰაბერმასი თავის „საჯარო სფეროს“ კონცეფციაში. ჰაბერმასი საჯარო სფეროში რაციონალური დისკუსიას გულისხმობს, რომელშიც საზოგადოების ყველა ფენა მონაწილეობს და ამის საფუძველზე კონკრეტული საკითხის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს. აქვე, ის საუბრობს საზოგადოებრივი მაუწყებლის როლზე და საზოგადოებრივი მაუწყებლის იდეალურ ტიპს აღწერს, რომელიც არ ექვემდებარება პოლიტიკის, ბიზნესის და იმ აუდიტორიის გავლენას, რომლისთვისაც მაუწყებლობს. საზოგადოებრივ მაუწყებლის წარმომადგენლები მუდამ მზად არიან, რომ საზოგადოებას მიაწოდონ ინფორმაცია პოლიტიკისა და სხვა საზოგადოებრივი პროცესების შესახებ. დღეს კი, მაუწყებლებს ახალი ამბების გაშუქებისას ახასიათებთ მიკერძოება, ამბის შემოკლება, თემიდან გადახვევა, დამალვა. ჰაბერმასი ტელევიზიას მანიპულაციისა და პროპაგანდის იარაღად რაცხავს და არა დემოკრატიულ ინსტიტუტად. ჰაბერმასის აზრით, დღევანდელი მედიის მიზანია ის, რომ აუდიტორია არ ჩაუღრმავდეს რეალურ მოვლენას, რომელსაც გასართობ ელფერს აძლევს. მედია ძირითადად სენსაციურ და

სათავგადასავლო ამბებზეა ორიენტირებული, რაც რაციონალური დისკურსის გაქრობას უწყობს ხელს. არსებული სიტუციიდან გამომდინარე საქმე გვაქვს ინფორმაციის დახმარებით მართვასთან, რაც საჯარო სფეროს კონცეფციას არღვევს. შესაბამისად, გაიზარდა ისეთი საკითხებისადმი ინტერესი, როგორებიცაა იმიჯის მართვა, კონსულტაციები მედიაში და მათი როლი პოლიტიკურ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში (Habermas, 1962,1976).

შილერის აზრით, ინფორმაციული გარემო პირდაპირ კავშირშია კაპიტალიზმთან და გამოხატავს კაპიტალიზმს ინტერესებსა და პრიორიტეტებს. აქ ის იგულისხმება, რომ საბაზრო პრინციპები და მაქსიმალური მოგებისკენ სწრაფვა ინფორმაციულ სფეროშიც მოქმედებს. შილერი ინფორმაციას განიხილავს როგორც საქონელს, რომელიც გასაყიდად, მოგების მიზნითაა შექმნილი. შესაბამისად, ინფორმაციის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ მატერიალურად რამდენად მომგებიანია ის ორგანიზაციისთვის. საბაზრო კრიტერიუმები განსაზღვრავს იმას თუ, ვისთვის, როგორ პირობებში და როგორი ტიპის ინფორმაცია უნდა აწარმოო (როგორც ნახსენებია webster,2014). „აქციონერების ზეწოლა, რომლებიც მაღალ შემოსავლებს ესწრაფვიან, ეს არის წარმოების შიდა ლოგიკაში, საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციური იმპერატივების შეჭრა და იმ გზავნილების ჩვენება, რომლებიც კომუნიკაციის ერთი კატეგორიის მეორე კატეგორიის მიერ ფარულ ჩანაცვლებას ეწევიან. პერსონალიზების, მოვლენების დრამატიზირების, კომპლექსური ჯაჭვის გამარტივებისა და კონფლიქტების მკაფიო პოლარიზების გვერდით, ეს ყველაფერი ხელს უწყობს სამოქალაქო პრივატიზმს და ანტიპოლიტიკურ განწყობას“ (Habermas, 2006, გვ. 26-27).

შილერის თქმით, ინფორმაცია შეიძლება განიხილებოდეს როგორც სოციალური სიკეთე, ან კერძო ინტერესებისათვის წარმოებული საქონელი (შილერი, 1996, გვ.35). სოციალურად სასარგებლო ინფორმაცია არსებითად მნიშვნელოვანია ჯანსაღი დემოკრატიის ფუნქციონირებისა და განვითარებისთვის. ის ხელს უწყობს მოქალაქეების მონაწილეობას სახელმწიფოს მართვაში. ასევე გადაწყვეტილების მიმღებებს საშუალებას აძლევს, რომ რესურსები, ეგალიტარული და რაციონალური გზით, გამოიყოს ისე, რათა მიიღწეს მაქსიმალური საზოგადოებრივი კეთილდღეობა.

ამის საპირისპიროდ, კაპიტალიზმის განვითრებამ ისეთი ინფორმაციული ველი წარმოშვა, რასაც შილერი კერძო წარმოებულ საქონელს უწოდებს (შილერი, 1996).

მაჰერმა ყურადღება გაამახვილა მედიის გავლენების პირობებებში შინაარსის მომწოდებლების მნიშვნელობაზე. მას აინტერესებდა: "რა ინფორმაციას არ აშუქებს პრესა. იმას, რომელიც სინამდვილეში გაშუქების ღირსია? საიდან მოდის ფრეიმები? საზოგადოების რომელი სეგმენტი იგებს მედიის ფრეიმების გავლენით და რომელია წამგებიან მდგომარეობაში?" (როგორც ნახსენებია Fortunato, 2005).

გამსონის თქმით, შინაარსის მომწოდებლები ცდილობენ მასმედიას აიძულონ საკუთარი ინფორმაციის გავრცელება სასურველი ფრეიმების გამოყენებით, რათა გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე, პოლიტიკაზე, გაყიდვაზე. დაინტერესებული მხარე ცდილობს, რომ მედიას მიაწოდოს ინფორმაცია და აიძულოს გაშუქება ისე, როგორც მისთვისაა სასურველი. ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება წყაროს, რომელიც ციტირებულია ახალ ამბებში (როგორც ნახსენებია Fortunato, 2005).

საბოლოოდ, სატელევიზიო მედიის მოკლე დახასიათება შეიძლება შემდეგნაირად: „სატელევიზიო გადაცემების სპეციფიკა არ იძლევა პოლიტიკური პრობლემების სიღრმისეულად გაშუქების საშუალებას. ტელერეპორტაჟს აქცენტი გადააქვს გართობაზე, პიროვნებებზე და სკანდალურ მოვლენებზე, და საკმარისად მკაფიოდ ვერ წარმოაჩენს პოლიტიკური დღის წესრიგის ძირითად საკითხებს. ზეპირი სიტყვა, რომელიც ქაღალდზე არ ფიქსირდება, ნაკლებად საიმედო წყაროა სამართლებრივი ხასიათის ინფორმაციის გასაშუქებლად" (მუსხელიშვილი, 2006,გვ.100)

2. კრიზისული სიტუაციების აღწერა და მედიაში გაშუქების ანალიზი

2.1მეტროს მემანქანეების გაფიცვა

სიტუაციის აღწერა

მეტროს მემანქანეებმა ხელფასის გაზრდის მოთხოვნის მიზნით 2018 წლის 3 მაისს გაფიცვა დაანონსეს და მუშაობის შეწყვეტაზე ინფორმაცია გაავრცელეს. მეტროს მემანქანეები მძიმე სამუშაო პირობებისა და არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე საათობრივი ანაზღაურების 7 ლარიდან 10 ლარამდე გაზრდას ითხოვდნენ, თუმცა თბილისის მერიამ და სატრანსპორტო კომპანიამ მათი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა, შესაბამისად, მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხდა. სატრანსპორტო კომპანიამ სასამართლოს მიმართა და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით აქცია ერთი თვით გადაიდო. 2018 წლის 18 მაიის, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ თბილისის სატრანსპორტო კომპანიის მოთხოვნა დააკმაყოფილა, რის შედეგადაც მატარებლების მემანქანეებს გაფცვაში მონაწილეობის მიღება სამუშაო საათების განმავლობაში განუსაზღვრელი ვადით შეუზღუდა. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ორივე შემთხვევაში საპროტესტო აქცია მოჰყვა მეტროს მემანქანეების მხრიდან, რომელსაც არასამთავრობო სექტორი, სამოქალაქო აქტივისტები შეურთდნენ. პროცესში სახალხო დამცველიც აქტიურად ჩაერთო.

მედიაში გაშუქება

„საზოგადოებრივი მაუწყებელის პიველი არხი“

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასულ სიუჟეტებში სასამართლოს გადაწყვეტილება წარმოჩენიილია, როგორც არასანდო, არაობიექტური, კონსტიტუციის საწინააღმდეგო, დაუსაბუთებელი, უსამართლო, რაც ასევე შრომით უფლებებს არღვევს. მაგალითად: 22 მაისს გასულ სიუჟეტში (მოამბე, 22.05.18. სიუჟეტი N11, „მეტროს მემანქანეების პროტესტი“) ჟურნალისტი აღნიშნავს,

რომ მემანქანეები უნდობლობას უცხადებენ საქალაქო სასამართლოს იმ განჩინებას, რომლის მიხედვითაც მათ გაფიცვის ჩატარების უფლება განუსაზღვრელი ვადით შეუჩერდათ. აქციის მონაწილეები სასამართლოს პირველი განჩინების მიხედვით იმოქმედებენ და 4 ივნისს გაიფიცებიან. სიუჟეტში სასამართლოს გადაწყვეტილებას აფასებენ: არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, მეტროს მემანქანეები, სახალხო დამცველი, რომელთა კომენტარებშიც სასამართლო სისტემა ცალსახად უარყოფით კონტექსტშია ნახსენები. მაგალითად, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) წარმომადგენელი ლიანა ღვინიანიძე ამბობს: *"ჩვენ განჩინებით დავინახეთ ძალიან სახიფატო პრეცენდენტი სასამართლოსი, რომელმაც სრულიად დაუსაბუთებლად, აბსურდული განმარტებით შეზღუდა განუსაზღვრელი ვადით მეტროს მემანქანეების გაფიცვის უფლება, რაც საფრთხეს ქმნის არა მარტო ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტროს თანამშრომელების მიმართ, არამედ ეს არის სახიფათო პრეცედენტი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ყველა დასაქმებულის მიმართ კანონიერად გაფიცვის გამოყენების უფლებაზე "* (მოამბე, 22.05.18. სიუჟეტი N11, „მეტროს მემანქანეების პროტესტი“). სასამართლოს უარყოფით იმიჯს ქმნის სხვა რესპონდენტების შეფასებებიც. მაგალითად, სოლიდარობის ქსელი- „მშრომელთა ცენტრისა“ და „თეთრი ხმაურის“ მოძრაობის წევრების კომენტარებში სასამართლოს გადაწყვეტილება უარყოფითადაა წარმოჩენილი. მაგალითად, რევაზ კარანაძე (მშორმელთა ცენტრი): *"მიღებული იქნა კონსტიტუციის საწინააღმდეგო, უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც ასევე არის უსამართლო, რადგან ის არღვევს ძირითად უფლებებს.* " ასევე, " ბექა წიქარიშვილი (თეთრი ხმაურის მოძრაობა): *"ის ტენდენცია, რაც გამოიკვეთა სასამართლოსგან არის ძალიან სახიფათო. როდესაც სახელმწიფო გაფიცვის უფლებას არ აძლევს ადამიანებს , ანუ ეს განგაშის საფუძველი უდნა იყოს... "* (მოამბე, 22.05.18. სიუჟეტი N11, „მეტროს მემანქანეების პროტესტი“)

სასამართლოს გადაწყვეტილებზე კომენტარი სახალხო დამცველის მხრიდანაც მოსამართლის გადაწყვეტილებაზე მკვეთრად უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს: *"მეტროს მემანქანეთა გაფიცვაზე სასამართლოს გადაწყვეტილება შრომითი უფლებებისთვის საზიანო და საშიში პრეცენდენტია“* (მოამბე, 23.05.2018, სიუჟეტი N8, „დედაქალაქის მერიის განცხადება“).

სასამართლოს გადაწყვეტილება წამყვანის მხრიდანაც უარყოფითად ფასდება, როდესაც გადაწყვეტილებას სადავოს უწოდებს: *"მერია მოთხოვნის შესრულებაზე უარს ამბობს. მეტიც, დედაქალაქის მერია მემანქანეთა პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებასაც არ გამორიცხავს და პოზიციას სასამართლოს იმ გადაწყვეტილებით იმყარებს, რომელიც დავის საგანი ხდება"* (მოამბე,04.06.2018, სიუჟეტი N12, მეტროს მემანქანეების გაფიცვა).

აღსანიშნია ის ფაქტი, რომ ტელეკომპანია „იმედი"-სგან და „რუსთავი 2"-სგან განსხვავებით, „საზოგადოებრივი მაუწყებელი" ერთადერთი ტელევიზია იყო, რომელმაც სასამართლოს განცხადება განჩინებასთან დაკავშირებით გაავრცელა. სასამართლომ თავის ოფიციალურ ვებვერდზე განათავსა განცხადება, სადაც განმატებულია, თუ რატომ შეეზღუდათ გაფიცვის უფლება მეტროს მემანქანეებს. *" მიუხედავად იმისა, რომ გაფიცვის უფლება ფუნდამენტური უფლებაა, მისი შეზღუდვის უფლება კონსტიტუციით მაინც არსებობს, იმ შემთხვევაში თუ ეს საზოგადოების უსაფრთხოებას უკავშირდება და იქვე განცხადებაში იყო აღნიშნული, რომ მეტროპოლიტენი თბილისში არის ერთ-ერთი ყველაზე იაფფასიანი ტრანსპორტი გადაადგილების კუთხით, რომლითაც დღის განმავლობაში 400 000 მგზავრი სარგებლობს და იმ შემთხვევაში თუ მთლიანად გაიფიცება, შეიქმნება სატრანსპორტო კოლაფსი, რითაც ვთქვათ, იგივე პატრულის თანამშომები, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულიები ან სხვადასხვა სამსახურებში დასაქმებულები ველარ მივლენ და შესაძლებელია ამან საზოგადოებრივ უსაფრთხოებას შეუქმნას პრობლემა "* (მოამბე, 22.05.18. სიუჟეტი N11, „მეტროს მემანქანეების პროტესტი").

„იმედი"

ქრონისკის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში მეტროს თანამშრომლებისა და არასამთავრობოს წარმომადგნელების საპროტესტო აქცია ვრცლად გაშუქდა. „იმედზე" გასულ სიუჟეტებში სასამართლოს გდაწყვეტილება არასამათავრობო სექტორისა და აქციის მონაწილე მემანქანეების მხრიდან შეფასებულია, როგორც უსამართლო, უთანასწორო. სასამართლო კი სისტემა, რომელსაც არ ესმის გაფიცვის რეალური შინაარსი. მაგალითად, 22 მაისის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში ლინა ღვინიანიძემ, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)

წარმოამდგენელმა კომენტარი გააკეთა, სადაც სასამართლო სისტემა უარყოფითად წარმოჩინდა: *"ძალიან ცხადია, რომ სასამართლოს არ ესმის გაფიცვის უფლების რეალური შინაარსი, იმგვარ განმარტებებს აკეთებს ის და მეორეს მხრივ, პრობლემა არის ის, რომ ეს გადაწყვეტილება არის სახიფათო არა მარტო მეტროს მემანქანეთათვის, ეს არის ყველა დასაქმებულის საკითხი"* (ქრონიკა, 22.05.2018, სიუჟეტი 46:22 წუთზე, „მეტროს მემანქანეების პროტესტი“). სიუჟეტში სასამართლოს გადაწყვეტილების გამართლებას მხოლოდ ერთი რესპონდენტი, სანტრანსპორტო კომპანიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, ცდილობს. მისი თქმით, მემანქანეთა გაფიცვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტების მუშაობას შეაფერხებს, როგორებიცაა სასწრაფო, სახანძრო, უსაფრთხოების სამსახური... ბუნებრივია მისი პოზიცია, რადგან სასამართლოს სწორედ სატრანსპორტო კომპანიამ მიმართა, რომ ასეთი გადაწყვეტილება მიეღო. მეტი დამაჯერებლობისთვის სიუჟეტში უნდა ყოფილიყო მესამე მხარის პოზიცია სასამართლოს განჩინებაზე, რომელიც წარმოადგენს ნეიტრალურ მხარეს და ამ შემთხვევაში უფრო დამაჯერებელი იქნებოდა არგუმენტი, რომ სასამართლომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო. ნეიტრალური მხარე შეიძლება ყოფილიყო არასამთავრობო სექტორი, მოქალაქე და ა.შ. თუმცა სწორედ არასამთავრობო სექტორი აკეთებს უარყოფით შეფასებებს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და ამის კიდევ ერთი მაგალითია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელის, სულხან სალაძის, კომენტარი: *„გაიფიცნენ არასამუშაო სათებში და დღეს უკვე ისინი ვერ გადიან სამუშაოდ არა იმიტომ რომ გაფიცულები არაინ, არამედ იმიტომ, რომ სამედიცინო პერსონალი არ აძლევთ მათ ამის საშუალებას. რეალურად, სასამართლო გადაწყვეტილების შედეგად მივიღეთ დროებით შრომის უუნარობა, რაც თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მათი სამსახურში გასვლა და საქმიანობის შესრულება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა"* (ქრონიკა, 04.06.2018, სიუჟეტიN7, „მეტროს მემანქანეთა გაფიცვა-ხელფასის მომატების მოთხოვნა“). ჟურნალისტის მხრიდან სახალხო დამცველის პოზიციაც გახმოანებულია, სადაც სასამართლოს გადაწყვეტილება კიდევ ერთხელაა გაკრიტიკებული: *„ნინო ლომჯარიამ დღეს მემანქანეებს მოუსმინა და სასამართლოს გადაწყვეტილება გაფიცვის აკრძალვის თაობაზე შრომის კანონის დარღვევად შეაფასა“* (ქრონიკა, 05.06.2018. სიუჟეტი N6, „მეტროს მემანქანეების გაფიცვა“).

საბოლოოდ, ტელეკომპანია „იმედზე“ გასულ სიუჟეტებში სასამართლოს გადაწყვეტილება დეტალურად აღწერილი არ არის, როგორც ეს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შემთხვევაში მოხდა და არც მოსამართლის განჩინებაა არგუმენტირებული რელევანტური რესპონდენტების მიერ. მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი მეტროს ფუნქიოციონირების შეწყვეტით სატრანსპორტო კტიზისი შეიქმნაზე კეთდება, რაც ქალაქში მოსახლეობას გადაადგილების პრობლემას უქმნის.

„რუსთავი 2“

კურიერში გასული სიუჟეტები სასამართლო სისტემის უარყოფითი იმიჯის ფორმირებას ხელს უწყობს. არა მხოლოდ რესპონდენტები, არამედ ჟურნალისტებიც ცდილობენ, შეფასებების გაკეთებას და ამისთვის ირონიას, სარკაზმსაც მიმართავენ. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „P.S“-ში გასული სიუჟეტში, სადაც წამყვანი ქართველ მოსამართლეებს აკნინებს და არაკომპეტენტურ, გავლენების ქვეშ მყოფ პირებად წარმოაჩენს. მაგალითად, სიუჟეტის დაწყებამდე გადაცემის წამყვანი, გიორგი გაბუნია, ამობობს: “ *გაფიცვა არასამუშაო საათებში. ეს ძალიან საინტერესეო ფენომენია. ქართველი მოსამართლე თუ მოიგონებდა ასეთ რამეს, თორე მეტი ვინ. გაფიცვა რა არის? როდესაც პროტესტის ნიშნად ადამიანები უარს ამბობენ თავიანთი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაზე. მაგალითად, პოსკრიპტუმი რო გაიფიცოს უნდა გაიფიცოს ახლა, კვირას 9 საათზე და გადაცემა ეთერში არ უნდა გავიდე, აბა ორშაბათს რომ გავიფიცოთ, წარმოიდგინეთ, როდესაც ჩვენი ჟურნალისტები ისედაც სახლში ისვენებენ, რა აზრი აქვს. ერთი ქართველი მოსამართლე ცდილობს დაგვაჯეროს, რომ აქვს. როდესაც ამ კვირის დასაწყისში მეტროს თანამშრომლებმა გაფიცვა გადაწყვიტეს მოსამართლემ ზუსტად ეს უთხრა. ვინც არ მუშაობთ, მხოლოდ ისინი გაიფიცეთ, რომ მეტროს ფუნქციონირებას ხელი არ შეეშალოსო. მიუხედავად ასეთი გაუგონარი შეზღუდვისა, მეტროს მემანქანეებმა მაინც მოახერხეს გამოსავლის პოვნა, გაიფიცნენ კიდეც და თბილისის მერიც იძილებული გახადეს შემხვედრი ნაბიჯი გადაედგა...”* (რუსთავი 2, P.S , 10.06.18. სიუჟეტი N7, უსათაურო) წამყვანის სიტყვის შემდეგ სიუჟეტია, რომელიც აგრძელებს ცინიკურ ნარატივს. ტახტზე წამოწოლილი ჟურნალისტი, ტურაშვილის წიგნით ხელში „იყო და

არა იყო რა“ ამბობს: *„საკუთარ სახლში, ტახტზე წამოწოლილი რომ შეიძლება გაფიცულიც ვიყო, ამაში მხოლოდ ქართველ მოსამართლეს დავარწმუნებ, გიორგი გაბუნიას კი ვერა. ამიტომ ახლა უნდა ავდგე და რეპორტაჟის მოსამზადებლად მიწის ქვეშ ჩავიდე“* (რუსთავი 2, P.S , 10.06.18. სიუჟეტი N7, უსათაურო).

სიუჟეტში მოსამართლის გადაწყვეტილება არასამთავრობო სექტორის მხრიდანაც შეფასებულია, სადაც სასამართლო, როგორც არა დამოუკიდებელი, არამედ სახელმწიფო სამსახურის გავლეის ქვეშ მყოფი ინსტიტუტი, ისე რეპრეზენტირდება. მაგალითად, ლინა ღვინიანიძე, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინფის ცენტრის (EMC) სოციალური პოლიტიკის პროგრამის დირექტორი მიერ: *„ეს იყო სრულიად აბსურდული გადაწყვეტილება, წინააღმდეგობაშია მთლიანად და თავდაყირა აყენებს გაფიცვის უფლების შინაარსს და მეორეს მხრივ, ეს გადაწყვეტილება იმდენად ალოგიკური იყო, რომ აჩენდა ეჭვებს კომპანიის ანუ მუნიციპალიტეტისა და სასამართლოს გარკვეულ თანამშრომლობაზე ამ პროცესში“* (რუსთავი 2, P.S , 10.06.18. სიუჟეტი N7, უსათაურო).

„რუსთავი 2“-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში მემანქანეთა გაფიცვის შესახებ სასამართოს გადაწყვეტილება სახალხო დამცველისა და პროფესიული კავშირების გაერთიანების მხრიდანაც შეფასებულია, როგორც კონსტიტუციის საწინააღმდეგო. მაგალითად, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია კურიერთან გაკეთებულ კომენტარში ამბობს: *"დღეს ვფიქრობ, რომ სამართლებრივად ცოტა ისეთ, რთულ ვითარებაში არის შესული საქმე, იქიდან გამომდინარე, რომ რეალურად უპრეცენდენტო, ყოველ შემთხვევაში პირველი, ესე ვთქვათ, პრეცენდენტული გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ და თქვა, რომ შეიძლება გაფიცვის უფლება შეიძლება ფაქტიურად უვადოდ იყოს გადავადებული, რაც ეწინააღმდეგება შრომის კანონმდებლობას"* (რუსთავი 2, კურიერი, 05.06.2018, სიუჟეტი N3 „გაფიცვა გრძელდება). *გარდა ამისა,* პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეც, რაისა ლიპარტელიანი, აკეთებს კომენტარს: *"ჩვენ ვასაჩივრებთ ყველა იმ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ზღუდავს გაფიცვის უფლებას და ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და საერთაშორისო აქტს და ჩვენ ამასთან დაკავშირებით უკვე მივმართეთ საკონსტიტუციო სასამართლოს“* (რუსთავი 2, კურიერი, 05.06.2018, სიუჟეტი N3 „გაფიცვა გრძელდება).

„რუსთავი 2“-ზე გასულ სიუჟეტებში სასამართლოს განჩინების ოფიციალირი განმარტება მემანქანეთა გაფიცვის აკრძალვის შესახებ არ გახმოვანებულა. სიუჟეტებში ძირითადი აქცენტი სასამართლოს, როგორც არა დამოუკიდებელ ინსტიტუტზე, არაკომპეტენტურ მოსამართლეებზე კეთდება.

2.2 საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგი

სიტუაციის აღწერა

ინფორმციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტმა (IDFI), რომელიც ღია და დემოკრატიული მმართველობის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციაა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგი ჩაატარა. კვლევა მოიცავს, როგორც სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგს, ისე არსებული კანონმდებლობის ანალიზს (2012-2017 წლები)[4]. მათ სასამართლოს ფინანსური ანგარიშები შეისწავლეს, თუ რამდენად რაციონალურად დაიხარჯა საჯარო ფინანსები. 2018 წლის 28 მაისს ინფორმციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მიმართულების ხელმძღვანელმა, გიორგი ბერაიამ, საკონსტიტუციო სასამართლოს საქმიანობის მონიტორინგის შედეგები და კანონპროექტის პრეზენტაცია გამართა .

მედიაში გაშუქება

„საზოგადოებრივი მაუწყებელის პირველი არხი“

საზოგადობრივმა მაუწყბელმა ინფორმციის თავისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტის (IDFI) კვლევას საზოგადოებრივ მაუწყებელზე მხოლოდ ერთი სიუჟეტი დაუთმო. სიუჟეტში კლვევის შედეგები სიღრმისეულად არ არის გადმოცემული და არც რომელიმე რესპონდენტის კომენტარია, განსხვავებით „იმედსა“ და „რუსთავი 2“-ზე გასული სიუჟეტებისგან. მიუხედავად ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო მაინც უარყოფით კონტექსტშია წარმოჩენილი. ძირითადი აქცენტი ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვასა და მოსამართლეთა უსამართლოდ დისციპლინურ დევნაზე კეთდება. მაგალითად, წამყვანი: *„IDFI-ის მიერ მომზადებული ანგარიშის მიხედვით,*

---

4 https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/Rule_of_law/monitoring_results_of_the_constitutional_court_of_georgia_geo.pdf

საკონსტიოტუციო სასამართლოს მოსამართლეებზე გაცემული პრემიები ბოლო 5 წლის განმავლობაში 2 მილიონამდე ლარს შეადგენს, ხოლო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდოამარისთვის შეძენილია 180 000 ლარამდე ღირებულების ავტომობილი, რაც მათი თქმით ხარჯების არამიზნობრივი ხარჯვაა... IDFI-ის თქმით, საკონსტიტუციო სასამართლო მალავს 3 მოსამართლეზე დისციპლინური დევნის დაწყებას, რაც ბადებს ეჭვს, რომ მოსამართლეებს განსხვავებული აზრის დაფიქსირების გამო დევნიან" (მოამბე, 28.05.2018, სიუჟეტი N8, „საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგი").

სიუჟეტი ხაზს უსვამს, რომ ადგილი აქვს მოსამართლეთა აზრის გამოცატვის თავისუფლების შეზღუდვას და ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვას. საკონსტიტუციო სასამართლოს რომელიმე წევრის განხცადებას ან კომენტარს აღნიშნულ საკითხზე სიუჟეტში ვერ ვხვდებით.

„იმედი"

საზოგადოებრივი მაუწყებლისგან განსხვავებით, „იმედზე" გასულ სიუჟეტში, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგს ეხებოდა, სასამართლოში არსებული სიტუაცია უფრო ვრცლადაა გადმოცემული. სიუჟეტში გაშუქებულია: საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ თანხების ირაციონალურ ხარჯვა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდიმარისთვის 176 150 ლარიანი ავტომობილის შეძება, პრემიებისა და დანამატების გაცემა დასაბუთების გარეშე. ასევე, საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლის წინააღმდეგ დაწყებულ დისციპლინურ დევნაზე, განსხვავებული პოზიციების გამო საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

აღნიშნული შემთხვევის გაშუქებისას საკონსტოტუციო სასამართლო წარმოჩენილია, როგორც ბიუჯეტის ირაციონალურად მხარჯველი, როგორც განსხვავებულ პოზიციაზე მყოფი მოსამართლეების წინააღდეგი ინსტიტუტი. თუმცა ეს ხდება თავად იმ ორგანიზაციის მიერ, ვინც საკონსტიტუციო სასამათლოს მუშაობის შესახებ ანგარიში მოამზადა.

მნიშვნელოვანია, ჟურნალისტის მხირდან ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ კომენტარის გაკეთებას საკონსიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ ძვირადღირებული ავტომობილის შეძენის ფაქტზე თავი აარიდა: *„საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელსაც ძვირადღირებული ავტომობილი ემსახურება, დღეს განმარტება არ გაუკეთებია. მის ნაცვლად კითხვებს საკოსნტიტუციო სასამართლოს მდივანმა უპასუხა"* (ქრონიკა, 28.05.2018, სიუჟეტი N5, „საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგის შედეგები“). აღნიშნული გარემოება საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის რეპუტაციას კიდევ უფრო საეჭვოს ხდის.

საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის გამართლებას მხოლოდ მანანა კობახიძე (საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი) ცდილობს, რომელიც ბიუჯეტის ირაციონალურ ხარჯვას უარყოფს და ამბობს, რომ არ იცის რამდენია მანქანაში გადახდილი, თუმცა მისი აზრით, ალბათ საჭიროოება იყო და სწორედ ამიტომ დაიხარჯა.

„რუსთავი 2“

სიუჟეტში , „არამიზნობრივი ხარჯები“ აქცენტი მოსამართლეებისა და საკონსტოტიციო სასამართლოს მიერ ფინანსების არამიზნობრივ ხარჯვაზე კეთდება. „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხისა“ და ტელეკომპანია „იმედზე“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებში გასული სიუჟეტებისგან განსხვავებით, „რუსთავი 2“-ზე, კურიერში საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 180 000 ლარამდე ღირებულების ავტომობილის შეძენისა და მოსამართლეთა დისციპლინური დევნის გარდა, ცხრა მოსამართლეზე ორ მილიონამდე პრემიებ-დანამატების გაცემაზეა საუბარი. აგრეთვე, მოამბისა და ქრონიკისგან განსხვავებით, კურიერში გასული სიუჟეტი პოლიტიზირებულია იმ მხრივ, რომ არარელევანტური რესპონდენტები აკეთებენ კომენტარს, მაგალითად: რომან გოცირიძე-პარლამენტის ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე, ზურაბ ჭიაბერაშვილი- პრალამენტის ფრაქცია ევროპული საქართველო-რეგიონების წევრი. შესაბამისად, მათი კომენტარები, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე სასამართლოს უარყოფით იმიჯს ხაზს უსვამს. მაგალითად, რომან გოცირიძის მიერ სასამართლო წარმოჩენილია, როგორც

ხელისუფლების მორჩიებაში მყოფი ორგანო: *" დამორჩილების ფორმა არის მათრახი, ანუ დაშინება სხვადასხვა კომპრომატებით და მეორე არის თაფლაკვერი, ანუ აძლევენ უფლებას, რომ დაინიშნონ დიდი პრემიები, მაღალი ხელფასები"* (კურიერი, 28.05.2018, სიუჟეტი N10, „არამიზნობრივი ხარჯები“).

როგორც ქრონიკასთან გაკეთებულ კომენტარში, ისე კურიერთან საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის დამცველად მანანა კობახიძე (საკონსტიტუციო სასამართლოს მდივანი) გვევლინება, რომელიც ამბობს, რომ 180 000 ლარამდე ღირებულების ავტომობილის შეძენა ალბათ საჭიროებისამებრ მოხდა.

აღსანიშნავია ის, რომ სიუჟეტში საკონსტიტუციო სასამართლოს მხრიდან განსხვავებული პოზიციის მიუღებლობის გარდა კომუნიკაციის პრობლემა იკვეთება, რომელსაც ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC) მართლმსაჯულების და დემოკრატიის პროგრამის დირექტორი სოფო ვერძეული ახმოვანებს კურიერთან კომენტარის გაკეთებისას: *"ჩვენ გვქონდა გარკვეული ინფორმაცია შესაძლო საქმესთან დაკავშირებით, რომელიც განხხვავებული მოსაზრების გამო მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებას უკავშირდება, თუმცა ამაზე მეტი კონკრეტიკით საუბარი უბრალოდ შეუძლებელია იმიტომ, რომ სასამართლო არ ავრცელებს არანაირ ოფიციალურ ინფორმაციას "* (კურიერი, 28.05.2018, სიუჟეტი N10, „არამიზნობრივი ხარჯები“).

„რუსთავი 2“-ის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში საკონტიტუციო სასამართლო რეპრეზენტირებულია უარყოფითად, როგორც არასამთავრობო სექტორის ისე, ოპოზიციური პარტიის მხრიდან. თუმცა აქ აღსანიშნია ფაქტი, რომ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ წევრები განიხილებიან.

2.3 „კორუფციის რისკების კვლევა სასამართლო სისტემაში“

სიტუაციის აღწერა

"საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ“ ჩაატარა კვლევა, რომელშიც საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის რისკებია შეფასებული. კვლევა 2018 წლის აპრილისთვის არსებულ მდგომარეობას ასახავს.

სასამართლო სისტემაში არსებული მდგომარეობის კვლევამ აჩვენა[5], რომ „სასამართლო სისტემაში კორუფციის სავარაუდო შემთხვევების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორებია: (ა)მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე არასათანადო გავლენა მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის მიერ და (ბ) სასამართლო ხელისუფლების სისტემური პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია ხარვეზიანი კანონმდებლობით და რომელთა გამოსწორებაც არ მოხერხდა სასამართლო სისტემაში და მის გარეთ არსებული წინააღმდეგობის გამო“ .

მედიაში გაშუქება

„საზოგადოებრივი მაუწყებელის პირველი არხი“

„საერთაშორიო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევის, „კოსუფციიის რისკები სასამრთლო სისტემაში“, პრეზენტაცია 2018 წლის 5 ივლისს გაიმართა და საზოგადოებრივ მაუწყებელზე აღნიშნულ თემას ორი სიუჟეტი დაეთმო. პრეზენტაციის დღეს ვრცელი სიუჟეტი არ მომზადებულა და მხოლოდ წამყვანმა გაახმოვანა სხვადასხვა მხარის პოზიციები, სადაც სასამართლო სისტემა ძირითადად უარყოფით კონტექსტში წარმოჩინდა, როგორც კლანური მმართველობის ორგანო. მაგალითად, წამყვანი: *„არსებული კანონმდებლობა, მათ შორის ბოლო პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფების ინტერესებს და მათ კიდევ უფრო გაძლიერებას ემსახურება. ასეთ დასკვნამდე მივიდა საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, რომელმაც კვლევა საერთო სასამართლოების სისტემაში კორუფციის რისკების შესაფასებლად ჩაატრა. კვლევაში აღნიშნულია, რომ სასამართლოში არსებობენ გავლენიანი მოსამართლეები,*

[5] https://www.transparency.ge/ge/post/korupciis-riskebi-sasamartlo-sistemashi

რომლებიც ძირითადად საბჭოში ერთიანდებიან და აქვთ მოსამართლეებზე ზეგავლენის მოხდენის ბერკეტები. ბრალდებებეს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უპასუხა. საბჭოს მდივანმა აღნიშნა, რომ კვლევა ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით მომზადდა, არასწორი ფაქტები კი სასამართლოს დისკრედიტაციას ემსახურება. საბჭოს არამოსამართლე წევრები კი არასამთავრობო ორგანიზაციის პოზიციას იზიარებენ" (მოამბე, 05.07.2018, 44:35-წუთზე, „კორუფციის რისკები").

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი არ ეთანხმება კვლევის შედეგებს და სასამართლოს დისკრედიტაციაზე მიუთითებს, სასამართლოს გაშუქებასნეიტრალურ ტონად ვერ ჩავთვლით, რადგან საკმარისი არგუმენტები ამის შესახებ მოყვანილი არ არის. გარდა ამისა, სასამართლო სისტემის დამცველად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ის მოსამართლე წევრი გვევლინება, რომლის წინააღმდეგაც ბოლო პერიოდში ბევრი კომენტარი გაკეთდა.

9 ივლისსს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრმა მოამბესთან აღნიშნული კვლევის შესახებ კომენტარი გააკეთა, რაც კომუნიკაციის კუთხით შესაძლოა სწორ ნაბიჯად ჩაითვალოს. დიმიტრი გვრიტიშვილი აქცენტს გაკეთებას ისეთ საკითხებზე ცდილობდა, რომ კვლევის სანდოობა ეჭვქვეშ დააყენებინა. მაგალითად: *„ყოველგვარი კვლევის სანდოობა, მოგეხსენებათ, განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა მეთოდოლოგიით ხელმძღვანელობს კვლევის ავტორი. მოცემულ შემთხვევაში ნათელია, რომ ე.ი. კვლევაში ასახული დასკვნები, შეფასებები, რეკომენდაციები ეფუძნება რამდენიმე ანონიმურად გამოკითხულ ადამიანს, რომელთა იდენტიფიცირება შეუძლებელია..."* (მოამბე, 09.07.2018, სიუჟეტი N9, „პასუხი საერთაშორისო გამჭვირვალობას"). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი შეეცადა, ყურადღება არასანდოობაზე გადაეტანა და კვლევის ანგარიშში გადმოცემულ ვითარებაზე კომეტარი არ გაუკეთებია. სიუჟეტის ბოლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ნაზი ჯანეზაშვილი, კომენტარია, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს კლანურ მმართველობას: *„ფაქტი არის ერთი, რომ ნამდვილად არის ერთი ჯგუფის ხელში მოქცეული ძალიან სერიოზული და გადაჭარბებული ძალაუფლება."*

საბოლოოდ, „კოსუფციიის რისკები სასამრთლო სისტემაში“ საზოგადოებრივ მაუწყებელზე გაშუქდა დაბალანსებულად, თუმცა მაინც უარყოფით შთაბეჭდილებას ტოვებს სასამართლო სისტემა, რადგან კორუფციის რისკებსა და კლანურ მმართველობაზეა საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი მათ წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებზე პასუხის გაცემას ცდილობს, მისი პასუხი არგუმენტირებული და დამაჯერებელი არ არის, რადგან აქცენტი კვლევის სანდოობაზე გადააქვს. სწორედაც, რომ ანონიმურია რესპონდენტთა ვინაობა, იქნებ ამიტომ ისაუბრეს მათ გულწრფელად სასამართლო სისტემაში არსებულ ვითარებაზე. მას უნდა ეპასუხა კონკრეტულ „ბრალდებებზე“ და არა კლევის სანდოობაზე.

„იმედი“

5 ივლიისს „იმედი“-ს მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში გასული სიუჟეტი- „კორუფციის რისკები საასმართლო სისტემაში“ მხარეთა პოზიციებით დაბალანსებულია. თუმცა სიუჟეტის დასაწყისშივე სასამართლო სისტემა წარმოჩენილია უარყოფით კონტექსტში, როგორც კლანური მმართველობის ორგანო, რომლის ხელმძღვანელებსაც სხვა მოსამართლეებზე აქვთ გავლენები. მაგალითად, ოლიკო შერმადინი -„საერთაშორისო გამჭირვალობა- საქართველო“: *"მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი აერთიანებს ძირითადად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოქმედ და ყოფილ წევრებს ისევე, როგორც სასამართლოების თავმჯდომარეებს, უპყრიათ არაერთი ბერკეტი მოსამართლეებზე ზემოქმედების, მათ შორის მოსამართლეთა დანიშვნის ნაწილში დისციპლინების ნაწილში...“* (ქრონიკა, 05.07.2018, სიუჟეტი N6, „კორუფციის რისკები საასმართლო სისტემაში“). საზოგადოებრივი მაუწყებლისგან განსხვავებით, ქრონიკაში გასული სიუჟეტი უფრო ვრცელი და ინფორმაციულია. სიუჟერში ვხვდებით, როგორც არასამთავრობო სექტორის, ისე მთავრობის, ოპოზიციისა და თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების კომენტარებს.

სიუჟეტში მნიშვნელოვანი ამონარიდებია გახმოვანებულია იმ რესპონდენტთა ინტერვიუებიდან, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღეს. აღნიშნული სასამართლო სისტემის კრიზისს განსაკუთრებით ხაზს უსვამს. მათი კომენტარებიდან ჩანს, რომ სასამართლოს გავლენის მქონე ჯგუფი აკონტროლებს, რომლებიც

კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობენ. მაგალითად: *"იმ ხალხს, ვისაც ჩვენ მოვიხსენიებთ გავლენიანი ჯგუფების წევრებად, თავად მოსამართლეები "ბოსებს" უწოდებენ. "ბოსები" ჩართული არიან კორუფციულ გარიგებებში და სახელმწიფო დაკვეთის შესრულებაში, ხოლო ის მოსამართლეები , რომლებიც მათი გავლენის ქვეშ არიან , ასრულებენ დავალებას. გავლენის ქვეშ მოქცევაში იგულისხმება, ის რომ მოსამართლე ვალშია "ბოსებთან" რადგან ის თანამდებობაზე მათ დანიშნეს და ის ფაქტი, რომ რებს ხელფასს, არის საკმარისი იმისთვის, რომ დამატებითი ანაზრაურების გარეშე შეასრულოს მათი მითითება"* (ქრონიკა, 05.07.2018, სიუჟეტი N6, „კორუფციის რისკები საასმართლო სისტემაში“).

მნიშვნელოვანია, რომ სიუჟეტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების პოზიციებიც ფიქსირდება. ისინი ყოველგვარ კორუფციულ გარიგებას და და კლანურ მმართველობას გამორიცხავენ, თუმცა არა არგუმეტებით, არამედ თავის მართლებით და დისკრედიტაციაზე მითითებით. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე: *"ეს არ არის კრიტიკა, ეს არის ცრუ ინფორმაციაზე დაყრდნობით მცდელობა, იმის, რომ რაღაც ჩირქი მოეცხოს სასამართლოს სისტემას. თეორიულადაც კი, ვერავინ დამისახელებს იმის შესაძლებლობას, რომ ელექტრონული განაწილების პროგრამაში შესაძლებელია ჩაერიოს ან თავმჯდომარე, ან ნებისმიერი სხვა მოსამართლე. ბრალდებები მუდმივად ისმის და მუდმივად არის კითხვა, რომ წარმოდგენილი იყოს ერთი ფაქტი მაინც, 1 მტკიცებულება მაინც, რომელიც დაადასტურებს მოსამრთლის მონაწილეობას თუნდაც აი მცირე კორუფციულ გარიგებაში..."* (ქრონიკა, 05.07.2018, სიუჟეტი N6, „კორუფციის რისკები საასმართლო სისტემაში“).

"საერთაშორისო გამჭირვალობა საქართველოს" ანგარიშის განხილვას ხმაური მოჰყვა. როგორც ჟურნალისტი აღნიშნავს, კვლევას უნდობლობას უცხადებს საბჭოს მოსამართლე წევრები. ერთადერთ ვისთვისაც დოკუმენტი მისაღები აღმოჩნდა, არამოსამართლე წევრი ნაზი ჯანეზაშვილი აღმოჩნდა (09.07.2018, სიუჟეტი 8:25:00 PM, „ხმაური იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე“). ამ კომენტარიდან გამომდინანარე, იუსტიციის უმაღლესი საბჭო უპირატეს პოზიციაშია და თითქოს მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი და ერთეული პიროვნებების აზრია, რომ

სასამართლო სისტემა კლანური მმართველობის ორგანოა, სადაც კორუფციული გარიგებები დგება. იმის ნაცვლად რომ, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა არგუმენტირებული და დამაჯერებელი კომენტარი გააკეთოს, რითიც ის საზოგადოებას დაარწმუნებს, რომ ზემოთ ხსენებული სიმართლეს არ შეესებამაბა. ის უბრალოდ ამბობს: *"ჩვენ მოვისმინეთ ძალიან ბევრი ცრუ ფაქტი და არგუმნეტი, ცრუ მოსაზრება არგუმენტების და მტკიცებულებების გარეშე"*

საზოგადოებრივ მაუწყებელზე გასული სიუჟეტებისგან განსხვავებით, რომელიც „საერთშორისო გამჭვირვალობა- საქართველოს" კვლევას ეხებოდა, უფრო მეტად ინფორმაციულია და წყაროებით დაბალანსებული ქრონიკის სიუჟეტები, თუმცა ნაკლებად ვხვდებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების არგუმენტირებულ მსჯელობას, რაც მათ მიმართ საზოგადოებაში ნდობას გაზრდის. ისინი ძირითადად თავის მართლებას ცდილობენ.

„რუსთავი 2"

კურიერში „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" კვლევა ვრცლად გაშუქდა სხვადასხვა მხარის პოზიციების ჩვენებით, თუმცა საბოლოოდ სასამართლო სისტემა, მოსამართლეები ძირითადად უარყოფით კონტექსტშია წარმოდგენილი. რესპონდენტთა უმრავლესობა კორუფციაზე, კონკრეტული ჯგუფის გავლენებზე, პოლიტიკურ გარიგებებზე, პოსტსაბჭოთა ტიპის სასამართლოზე საუბრობს. სიუჟეტის დაწყებამდე უარყოფითი ტონი შეინიშნება წამყვანის მხირანაც: *„სასამართლოს ბოსები, სწორედ ასე უწოდებენ ყოფილი მოსამართლეები და მოქმედი ადვოკატები სასამართლო სისტემის იმ ელიტური ჯგუფის წევრებს, რომლებიც მთლიანად მართავენ მართლმსაჯულებას. სისტემის მართვის სქემა კი კორუფციაზეა დამყარებული. გარიგებები რიგით მოსამართლეებთან და ვაჭრობა პოლიტიკურ ელიტასთან კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებით. ამ მეთოდებზე იურისტებმა „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოსთვის"* (კურიერი, 05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში). წამყვანი ხაზს უსვამს, რომ კვლევა გავლენიანმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ჩაატარა, რაც საზოგადოებაში კვლევის მიმართ ნდობას უფრო მეტად იწვევს. სიუჟეტში იმ პირთა ინტერვიუებიდანაა ამონარიდი, რომლებმაც კვლევაში

მონაწილეობა მიიღეს და სწორედ ამ დოკუმენტიდან ჩანს, თუ როგორი კრიზისია სასამართლო სისტემაში. კვლევის მიხედვით, სასამართლო სისტემაში დამოუკიდებელი, სამართლიანი მოსამართლე არ არსებობს. ისინი ხელისუფლების კონტოროლის ქვეშ იმყოფებიან. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ციტატა დოკუმენტიდან, რომელსაც ჟურნალისტი ახმოვანებს: *„ანონიმური რესპონდენტების განცხადებით, დღეს საქმეების 100% ხელისუფლების მიერ აღარ კონტროლდება, თუმცა თავისუფალი სასამართლო დღეს მხოლოდ ილუზიაა. ყოფილი მოსამართლეების განცხადებით, პოლიტიკური ელიტისთვის ნებისმიერ საქმეზე სასურველი შედეგის მიღწევა მარტივად შესაძლებელია“* (კურიერი, 05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში).

კურიერში გასული სიუჟეტი მთლიანად დატვირთულია სასამართლო სისტემის მიმართ უარყოფითი შეფასებებით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლო სისტემის წარმომადგენლების კომენტარები და შეფასებები გაჟღერებული არ არის. პირიქით, სიუჟეტის ბოლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი (გიორგი მიქაუტაძე) და იუსტიციის უმალესი საბჭოს მოსამართლე წევრი (დიმიტრი გვრიტიშვილი) პოზიციების ფიქსირდება. ისინი კვლევის სანდოობას ეჭვქვეშ აყენებენ და კვლევაში მონაწილე პირებს მოუწოდებენ, რომ საგამოძიებო უწყებებს მიმართონ.

მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების კომენტარები სიუჟეტში გაშუქებულია, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მათ კომენტარებს მხოლოდ ამბის ბოლოს ვისმენთ რამდენიმე წამით, ხოლო მთელი სიუჟეტი დატვირთულია სასამართლო სისტემისა და მოსამართეების მიმართ უარყოფითი შეფასებებით. ყურადსაღებია ამონარიდი ყოფილი მოსამართლის ინტერვიუდან, რომელიც კიდევ ერთხელ ადასტურებს კლანური მმართველობის არსებობას სასამართლო სისტემაში: *„თავდაპირველად ზოგიერთი მოსამართლე იმაზეც კი ბრაზდებოდა, რატომ იღებთ პრინციპულ გადაწყვეტილებებს და რატომ აბრაზებთ ხელისუფლებასო, თუ წინა პერიოდში ვაკეთებდით, ახლა რატომ არ უნდა გავაკეთოთ, რა მნისვნელობა აქვს ჩვენთვისო... ძალიან ცდილობდნენ ინტეგრაცია განეცადათ ახალ ხელისუფლებასთან. ეს იყო მოთხოვნა სასამართლო სისტემიდან და ეს ჯგუფიც იმიტომ შეიკრა, რომ შეკრულად უფრო ძვირად მიეყიდა თავი ხელისუფლებისთვის "* (კურიერი,

05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში). აღნიშნული შემთხვევის გაშუქება მთავრდება იმიით, რომ სასამართლო სისტემა საქართველოში არის არა კანონზე დაფუძნებული ევროპული მოდელის, არამედ პოსტსაბჭოთა. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართე წევრი (ანა დოლიძე) : *„ჩვენმა პარლამენტმა უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. უნდა კანონზე დაფუძნებული ევროპული სასამართლო, თუ უნდა პოსტსაბჭოთა მესამე მსოფლიოს ომის სასამართლო, სადაც ბატონობს პირადი კავშირებ, პირადი გავლენები და აღებ-მიცემობა“* (კურიერი, 05.07.2018, სიუჟეტი N6, კორუფცია სასამართლოში).

9 ივლიის, კურიერის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კრება გაშუქდა. იუსტიციის მოსამართლე და არამოსამაღთლე წევრები „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ კვლევის შედეგებს განიხილავდნენ. საბჭოს მოსამართლე წევრები მაქსიმალურად ცდილობდნენ კლვევის სანდოობის ეჭვქვეშ დაყენებას და ხაზს უსვამდნენ ცრუ ფაქტების, ყალბი ინფრომაციის გავრცელებასა და მიზანმიმართულ პროვაკაციას მოსამართლეების მიმართ. მაგალითად, სხდომაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრი (სერგო მეთოფიშვილი) გამჭვირვალობის მიერ ჩატარებულ კვლევის ანგარიშზე ამბობს: *"ესაა fake ანგარიში, ანუ fake ანგარიში-ყალბი ანგარიში... ძაან კარგად იცის რო ტყუილებია აქ...ეს ლაფი, არა, ტყივლების ადგა და შეასხა ასე სასამართლოს და ჩვენ. ალბათ უნდა დონორებს, ვინც აფინანსებს ამ ორგანიზაციებს და ამათთან საუბარი უკვე ზედმეტია და აზრს კარგავს. და უნდა ვუთხრათ, ამაში უხდი ფულს? ამ ტყვილებში და ამ ჭორების, ბინძური ჭორების შეგროვებაში?"* (კურიერი, 09.07.2018, 31:33 წუთზე, „სადავო კვლევა“). ასევე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი (გიორგი მიქაუტაძე): *"ცოტა არასერიოზულად გამოიყურება ჩემის აზრით და არსებობს ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაციები, დავეკონტაქტოთ, ვიკითხოთ მეთოდოლოგია, როგორ დატრდება. შეიძლება ნახევარი მილიონი საქმის განმხილველი ორგანიზაცია ექვსმა კაცმა შეაფასოს და აქედან დაიდოს კვლევა, რო ეს ყველაფერი ობიექტური არის?* (კურიერი, 09.07.2018, 31:33 წუთზე, „სადავო კვლევა“)

მიუხედავად მცდელობისა, იუსტიიის უმაღლესი საბჭოს წევრებს სასამართლო სისტემის იმიჯი დაეცვათ, სიუჟეტის დასაწყისშივე ჟურნალისტმა გააკეთა კომენტარი,

რომელიც მათ მცდელობას სრულიად აბათილებს. ჟურნალისტმა სწორედ იმ გარემოებას გაუსვა ხაზი, რაც მოსამართლეების და სასამართლოს იმიჯს ზიანს აყენებს: *"მოსამართლეები თავის მართლებას იწყებენ. სასამართლოს ბოსებზე და სისტემაში არსებულ კორუფციაზე მომზადებულმა დასკვნამ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე წევრი უკიდურესობამდე გააღიზიანა, მაგრამ სამოსამართლო მანტიის ღირსების დაცვის სურვილით იუსტიციის საბჭოს მოსამართლეებმა მხოლოდ ის მოახერხეს, რომ საპასუხო ბრალდებებით „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და მისი ხელმძღვანელინ არაკეთილსინდისიერებაში დაადანაშაულეს. ამ ზოგადი ბრალდებების ფონზე დღეს არავის უცდია კვლევაში კლანური მმართველობისა და კორუფციის კონკრეტული ფაქტების მტკიცებულებებით უარყოფა"* (კურიერი, 09.07.2018, 31:33 წუთზე, „სადავო კვლევა“).

კურიერში „კორუფციის რისკების კვლევა სასამართლო სისტემაში“ სასამართლო სისტემის კრიზისზე კიდევ ერთხელ მიუთითებს. სიუჟეტები მოსამართლეებისა და სასამართლო სისტემის მიმართ უაროფითი შეფასებებით დატვირთულია , რაც მათ იმიჯის ფორმირებაზე გავლენას ახდენს. სასამართლო სისტემა წარმჩენილია, როგორც კორუმპირებული, კლანური მმართველობის, ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი, პოსტსაბჭოთა მოდელის სტრუქტურა, რომლის წევრები თავის დაცვას ცდილობენ არა კონკრეტული ფაქტებზე არგუმენტირებული მსჯელობით, არამედ მიზანმიმართულ პროვოკაციასა და დეზინფორმაციაზე აპელირებით.

2.4 სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე და თემიდა პრეზერვატივზე

სიტუაციის აღწერა

თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა არასათანადო რეკლამირების გამო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შეადგინა და „აიისას“ უჩივლა. „აიისა“ აწარმოებს პრეზერვატივებს, რომელთა შეფუთვაზე კომიქსების სტილში თამარ მეფის, “ქართლის დედის” გამოსახულებებია, ასევე შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან” დატანილია ციტატები, რელიგიური შინაარსის წარწერები და ა.შ. 2018 წლის 4 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლომ „აიისა“ 500 ლარით დააჯარიმა, რაც მეორე ინსტანციაში გასაჩივრდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს

მოსამართლემ, ლევან მურუსიძემ, ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება და გარდა ჯარიმისა, „აიისას“ პროდუქციის ქსელიდან ამოღება დაავალა, ასევ 4 დიზაინის პრეზერვატივის რეალიზება და რეკლამა აუკრძალა. „აიისამ“ ლევან მურუსიძის გადაწყვეტილება გააპროტესტა და პრეზერვატივების შეფუთვაზე მოსამართლე ლევან მურუსიძე და თემიდა გამოსახა.

მედიაში გაშუქება

„იმედი“

21 ივნისის, ქრონიკის მთავარ საინფორმაციო საინფორმაციო გამოშვებაში აღნიშნული შემთხვევა ვრცლად გაშუქდა. სიუჟეტში, „კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე“ მოსამართლის გადაწყვეტილება რესპონდენტების მიერ უმეტესად უარყოფითად წარმოჩინდა. არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის, იუსრისტისა და კომპანია „აიისას“ მხრიდან მოსამართლის გადაწყვეტულება შეფასებულია, როგორც არაკონსტიტუციური, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას ზღუდავს. მაგალითად, გიორგი მშვენიერაძე “საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას” (GDI) ხელმძღანელი, იურისტი: *"ეს არის კონსტიტუციის სრულიუ იგნორირება. იმიტომ, რომ ჩვენი კონსტიტუცია ამბობს, რომ არ შეიძლება გამოხატვის თავისუფლების შეზღიდვა ისეთი კატეგორიით, როგორიც არის მორალი"* (ქრონიკა, 21.06.2018, სიუჟეტი N9, კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე). ასევე, გიორგი ბერაია -იურისტი: *„ეს გადაწყვეტილება არის საშიში პრეცედენტი იმ კუთხით, რომ ამკვიდრებს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც გამოხატვის თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს რაღაც სუბიექტური გრძნობების დასაცავად. ეს ცხადია, ეწინააღმდეგება ევროპულ სტანდარტს ადამიანის უფლებების და მათ შორის გამოხატვის თავისუფლების “* (ქრონიკა, 21.06.2018, სიუჟეტი N9, კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე).

თავად მოსამართლე ლევან მურუსიძის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილს ჟურნალისტი ახმოვანებს, სადაც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა მორალის კატეგორიით არის განპირობებული: *"დადგენილების დასაბუთებულ ნაწილში მურუსიძე წერს, რომ არაეთიკურობის საზომად სასამართლო ხელმძღვანელობს საზოგადოებაში საქმის განხილვის დროისათვის არსებული წარმოდგენებით, ეთიკური*

ღირებულებებით და ნორმებით... " (ქრონიკა, 21.06.2018, სიუჟეტი N9, კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე). მოსამართლე მურუსიძე კი, ქრონიკასთან სატელეფონო კომენტარს აქეთებს, რომელშიც სართოდ არაა გამახვილებული ყურადღება გადაწყვეტილების კონტიტუციასთან შესაბამისობაზე. მას ყურადღება უნდა გაემახვილებინა იმაზე, თუ რამდენად სამართლიანი, კანონიერი იყო მისი მიღებული გადაწყვეტილება. ნაცვლად ამისა, აქცენტი კვლავ ღირებულებება და მორალზე გააკეთა: *„სკოლაში სუყველა დროს ვსწავლობდით, იყო ესეთი, გრიგოლ ორბელიანის ლექსი „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში.“ გიორგი მშვენიერაძე და არასამთავრობოები პრეზერვატივზე ახატავენ“* (ქრონიკა, 21.06.2018, სიუჟეტი N9, კომპანია „აიისა“ VS ლევან მურუსიძე).

საბოლოოდ, აღნიშნული შემთხვევა სასამართლო სისტემის იმიჯის ფორმირებაზე ახდენს უარყოფით გავლენას რამდენიმე მიზეზის გამო. ერთი არის ის, რომ მოსამართლის გადაწყვეტილებით დაკისრებული 500 ლარიანი ჯარიმის გადასახდელად კომპანია პრეზერვატივების შეფუთვაზე თემიდას და მოსამართე ლევან მურუსიძის გამოსახულებას ბეჭდავს და მეორე, ის რომ მოსამართლის გადაწყვეტილება იურისტების მხრიდან არაკონსტიტუციურად და თავისუფლების შეზღუდვის პრეცენდენტადაა შეფასებული. აქვე, აღსანიშნია, რომ მოსამართლე თავის გადაწყვეტილებაზე გაკეთებულ კომენტარში მთავარ გამოწვევას ვერ პასუხობს, რაც მორალის კატეგორიით გამოხატვის თავისუფლების შეზღიდვას გულისხმობს. მოსამართლეს გადაწყვეტილების რაციონალობასა და სამართლიანობაზე უნდა ემსჯელა და არა ღირებულებებზე.

„რუსთავი 2“

კურიერის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტი „პრეზერვატივების საქმე“ თავიდანვე სასამართლო იმიჯის საზიანო ფრაზით დაიწყო წამყვანმა: *„მოსამართლის პორტრეტი პრეზერვატივზე“* (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“). შემდეგ კი , მთელ სიუჟეტს მოსამართლის მიმართ უარყოფითი ტონი გაჰყვება თან. სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის, გიორგი მურუსიძის, გადაწყვეტილება არასამთავრობო ორგანიზაციების, იურისტების მხრიდან ცალსახად უარყოფითად

წარმოჩინდება. ისინი გადაწყვეტილების არაობიექტურობაზე, არაკონსტიტუციურობასა და ცენზურაზე საუბრობენ. მაგალითად, გიორგი მელაძე (კონსტიტუციონალისტი): *„კანონებია არეული ამ ქვეყანაში და რაღაცნაირი სასამართლოს სამართლებრივ ასტიგმატიზმთან გვაქვს საქმე. აქ უკვე გადავედით მეორე ხარისხის პრობლემაში, რასაც პირდაპირ ცენზურა ქვია და ცენზურა რას ნიშნავს? ერთი,სახელმწიფომ უკეთ იცის, როგორც უნდა იფიქრო და მეორე, თუ სხვანაირად ფიქრობ, სახელმწიფო ამ ფიქრს აგიკრძალავს“* (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“). მოსამართლის გადაწყვეტილებას არაკონსტიტუციურად და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად აფასებს "საქართველოს დემოკრატიულუ ინიციატივას“ თავმჯდომარე: *"მურუსიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მიგვაჩნია, რომ ცალსახად არის ძალიან საშიში პრეცედენტი გამოხატვის თავისუფლების კუთხით ქვეყანაში..."* (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“). გარდა ამისა, „ახალგაზრდა იურისთა ასოციაციის“ (GYLA) თავმდჯომარე მოსამართლის გადაწყვეტილებას არაობიექტურად და საშიშ პრეცენდენტად მიიჩნევს: *„ეს შეიძლება გახდეს ტენდენტიციური, ეს შეიძლება გახდეს პრეცედენტული, მათ შორის, რომ მომავალში სასამართლომ იხელმძღვანელოს სწორედ იმ სტანდარტით, რომელიც რეალურად არ ეფუძნება არანაირ ობიექტურ გარემოებებს. ეს შეიძლება იყოს ერთის მხრივ სასაცილო, მეორეს მხრივ ძალიან ტრაგიკული გამოხატვის თავისუფლების თვალსაზრისით "* (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“).

ისე როგორც ქრონიკასთან გაკეთებულ კომენტარში, კურიერშიც მოსამართლე, ლევან მურუსიძე, აქცენტს ისევ მორალზე აკეთებს და გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობაზე არ საუბრობს: *„სკოლაშიც ... გვასწავლიდნენ, ვთქვათ, გრიგოლ ორბელიანის ლექსი იყო „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში. ეხლა არის გიორგი მშვენიერაძე, რომლსაც პრეზერვატივზე თუ არ დაახატა თამარ მეფის სახე, გამოხატვის თავისუფლება იზღუდება“* (კურიერი, 21.06.2018, სიუჟეტი N9, „პრეზერვატივების საქმე“). იმედზე გასული სიუჟეტისგან განსხვავებით, კურიერში მოსამართლის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი გაჟღერებული არ არის.

განხილული შემთხვევა სასამართლო სიტემის იმიჯს უარყოფითად წარმოაჩენს, რადგან მოსამართლის გადაწყვეტილება არაკონსტიტუციურად, გამოხატვის

თავისუფლების შეზღუდვად და ცენზურის დაწესების მცდელობად არის შეფასებული. სასამართლო სისტემის წარმომადგენელი კი, ვინც უშუალოდ გადაწყვეტილება მიიღო ვერ ხსნის, თუ რატომ შეიძლება ყოფილიყო მისი გადაწყვეტილება კანონიერი. მისი მსჯელობა უმეტესად მორალის კატეგორიას ეფუძნება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელზე სააპელაციო სასამართლოს მოსამართლისა და თემიდას გამოსახვა პრეზერვატივზე მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში საერთოდ არ გაშუქებულა.

2.5 უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა

სიტუაციის აღწერა

2018 წლის 2 აგვისტოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, ნინო გვენეტაძე გადადგა. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ნინო გვენეტაძემ ოფიციალური განცხადება გამოაქვეყნა[6], სადაც წერს, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო საზღვარგარეთ რამდენიმეთვიანი მკურნალობა სჭირდება, თუმცა მას მედიასთან დამატებითი კომენტარი არ გაუკეთებია. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ ნინო გვენეტაძე 2015 წლის 20 მარტს დაამტკიცეს და ვადა 2025 წელს ეწურებოდა.

მედიაში გაშუქება

„საზოგადოებრივი მაუწყებელის პირველი არხი“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა საზოგადოებრივ მაუწყებელზე 2 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით შუქდებოდა. პირველივე დღეს, 2 აგვისტოს გასულ სიუჟეტში, სასამართლო სისტემა რეპრეზენტირებულია, როგორც გავლენიანი ჯგუფების მმართველობის ქვეშ მყოფი სტრუქტურა, ხოლო თავმჯდომარის გადადგომა ზეწოლის შედეგადაა შეფასებული. სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისი და კლანური მმართველობის გავლენები სიუჟეტის დაწყებამდე, წამყვანის სიტყვაშიც

[6] http://www.supremecourt.ge/news/id/1769

იკვეთება, რაც საზოგადოებას გვენეტაძის გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის გაურესების დასახელებას ეჭვქვეშ აყენებს. მაგალითად,წამყვანი: *„ჯანმრთელობის პრობლემა თუ სასამართლო სისტემის გავლენიან წევრებთან დაპირისპირება... გადაწყვეტილებას ნინო გვენეტაძე მკურნალობის საჭიროებით ხსნის, თუმცა მხოლოდ ეს მიზეზი პოლიტიკურ წრეებსა და მესამე სექტორში ეჭვს იწვევს. მითუმეტეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებთან იმ დაპირისპირების ფონზე, რომელიც ბოლო პერიოდში განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო. საბჭოს სხდომებზე გვენეტაძეს ხშირად უწევდა მისი მისამართით მოსამართლე წევრების ბრალდებების მოსმენა, რის გამოც ჯერ კიდევ ნოემბერში ზეწოლაზე ალაპარაკდა...“* (მოამბე,02.08.2018, სიუჟეტი N1, „ნინო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“). აღნიშნულ სიუჟეტში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომიდან კადრებია ნაჩვენები, რაც კონკრეტული ჯგუფების ზეწოლას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე ადასტურებს, მაგალითად, ნინო გვენეტაძე- უზენაესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ამბობს: *„მე უფლება მაქვს წავიყვანო სხდომა, თქვენ არ მაძლევთ საშუალებას... მე კიდევ ვამბობ ხმამაღლა, რომ თქვენ ძალადობთ ჩემზე...“* (მოამბე,02.08.2018, სიუჟეტი N1, „ნინო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“)

სასამართლოში არსებულ კრიზისულ ვითარებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის, ნაზი ჯანეზაშვილის, კომენტარიც ხაზს უსვამს, სადაც ის კლანურ მმართველობასა და ზეწოლაზე საუბრობს: *„რეალურად თავმჯდოამრეს არ ჰქონდა არანაირი ბერკეტები და არც სათანადო პატივისცემა თავისი კოლეგების მხრიდან. გადაწყვეტილებას იღებდა კლანი, ის ჯგუფი, რომელიც მართავს სასამართლო სისტემას, რომელსაც ლიდერობს მიხეილ ჩინჩალაძე“* (მოამბე,02.08.2018, სიუჟეტი N1, „ნინო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“). სასამართლო სისტემაში არსებულ კრიზისზე მიუთითებს ყოფილი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, კომენტარიც: *„მოგახსენებთ, რომ სასამართლოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, რომ სირთულეებია და სერიოზული სირთულეებია სასამართლოსთან მიმართებაში“* (მოამბე,02.08.2018, სიუჟეტი N1, „ნინო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“).

სიუჟეტის ბოლოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამთლე წევრის, დიმიტრი გვრიტიშვილის, კომენტარია, სადაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე

ზეწოლას უარყოფს და ამბობს, რომ ამგვარი განცხადებები სასამრთლო სისტემის დისკრედიტაციისკენ მიმართული.

სასამართლო სისტემის კრიზისზე მიანიშნებს 3 აგვისტოს გასული სიუჟეტიც- „ნინო გვენეტაძის გადაწყვეტილება და პროცედურები“, სადაც არასამთავრობო სექტორის მხირდან კლანური მმართველობასა და კონკრეტული ჯგუფების გავლენებზეა საუბარი. მაგალითად, გიორგი მშვენიერაძე-„საქარველოს დემოკრატიული ინიციატივას“ თავმჯდომარე: *„სწორედ ამ მოდელში, კონსტიტუციის მოქმედ ამ მოდელში მოხდეს უზენაესი სასმართლოს ახალი თვმჯდომარის შერჩევა და ამ ეგრეთ წოდებულ კლანს, როგორც მას მოვიხსენიებთ, არ მიეცეს საშუალება საპრეზიდენტო არჩევნების შემდგომ თავად, საკუთარი კანდიდატურა გაიყვანონ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ“* (მოამბე, 03.08.2018, სიუჟეტი N3, „ნინო გვენეტაძის გადაწყვეტილება და პროცედურები“). ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წარმომადგენელი: *„პრობლემები, რაც დღეს სისტემაში არის და ეს პრობლემები არის ძალიან მძიმე დღეს. ვიცით, რო სასამართლო სისტემა არის დღეს ფაქტობრივად კრიზისში შესული.“*

მოამბის მთავარ საინფორმაციო გამოშვებში გასული სიუჟეტები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის პროცედურებსა და პრეზიდენტთან კონსულტაციებს ეხებოდა, ვრცლად არ გადმოცემულა. „კონსულტაციები პრეზიდენტთან“ მხოლოდ წამყვანის სიტყვითა და რამდენიმე კადრის ჩვენებით შემოიფარგლა, ხოლო 14 აგვისტოს გასულ სიუჟეტში "ქართული ოცნების გადაწყვეტილება“ მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარის, ირაკლი კობახიძის, კომენტარია გაშუქებული.

უზენასი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა საზოგადოებრივ მაუწყებელზე რეპრეზენტირდა, როგორც სასამართლოს კრიზისი, სადაც სასამართლოს სისტმა კლანური მმართველობისა და გავლენიანი ჯგუფების მქონე სტურქტურად წარმოჩინდა. ნინო გვენეტაძის გადადგომა ზეწოლასთან, ძალადობასთან და კონკრეტული ჯგუფების გავლენებთანაა დაკავშირებული.

„იმედი“

ქრონიკის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა სიღრმისეულად და მრავალმხრივი პოზიციებით გაშუქდა. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრები არგუმენტირებულად ერთმანეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში მაყურებლის დაბნეულობას იწვევს.

აღნიშნულ შემთხვასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ყოფილი პრეზიდენტის, გიორგი მარგველაშვილის, გამოხმაურება, რადგან ის სასამართლო სისტემაში არსებულ კრიზისზე ცალსახად მიუთითებს. მის გამოსვლას უცხოელი პარტნიორებისა და იურისტების მოხსენიება სასამართლოსთან მიმართებაში დამაჯერებლობას სძენს. მაგალითად, გიორგი მარგველაშვილი: *"დღეს, ქალბატონი ნინოს გადადგომით გაშიშვლდა ის მრავალი პრობლემა, რომლის თაობაზეც არაერთხელ, არაერთი ჩვენი მეგობარი და ჩვენი პარტნიორი, ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტული იურისტები და ამ დარგის სპეციალისტები აღნიშნავდნენ. სასამართლო სისტემა უნდა გაჯანსაღდეს. ქვეყნის პირველი მოსამართლე ამბობს, რო ის ძალადობის მსხვერპლია. მისი ჯანმრთელობის კომპეტენცია არ არი პრეზიდენტის კომპეტენცია, მაგრამ სასამართლოს ჯანმრთელობის მდგოამრეობა პრეზიდენტის კომპეტენციაა და მოგახსნებთ, რო სასამართლოს ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შემიძლია მოგახსენოთ, რომ სირთულეებია "* (ქრონიკა, 02.08.2018, სიუჟეტი N1, „ნინო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა-პრეზიდენტის გამოხმაურება“).

ქრონიკაში პრეზიდენტის გამოხმარუბას ვრცელი სიუჟეტი მოყვება, რომლის დასაწყისშიც სასამართლო სისტემაში გახორიელებულ წარმატებულ რეფორმებზე აკეთდება აქცენტი. თუმცა, შემდეგ რესპონდენტთა შეფასებებია, რომლის მიხედვითაც სასამართლო სისტემა მკვეთრად უარყოფით კონტექსტში რეპრეზენტირებდება. ისინი კლანურ მმართველობაზე, კონკრეტული ჯგუფის მხრიდან ზეწოლაზე, ხელისუფლების სასამართლო სისტემაში ჩარევაზე საუბრობენ და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ეჭვქვეშ აყენებენ. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი ანა დოლიძე ამბობს: *„ეს არი სასამართლოში დარჩენილი, გაბატონებული დაჯგუფება და მისი გავლენა,*

რომელიც აკონტროლებს რეალურად სასამართლოს. მეორე, ეს არი ქართული ოცნების მიერ სასამართლო რეფორმის მიმართ მხარდაჭერის არქონა“ (ქრონიკა, 02.08.2018. სიუჟეტი N2, „ნონო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“). სასამართლოს კრიზისზე ოპოზიციური პარტიის წევრის კომენტარიც მიუთითებს. მაგალთად, ნიკა მელია: *„ყველაფერი არის ისე, როგორც იყო საბჭოთა კავშირში, როხა მხოლოდ და მხოლოდ ჯანმრთელობის გაუარესების გამო, ვითომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო ტოვებდნენ თანამდებობებს. ის კლანი, რომელიც არი მიღებული ბატონი ივანიშვილის კარზე, არის უფრო სანდო ივანიშვილისთვის და აქედან გამომდინარე, მიიღო ეს გადაწყვეტილება ქართულმა ოცნებამ "* (ქრონიკა, 02.08.2018. სიუჟეტი N2, „ნონო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“).

სასამართლო სისტემაში არსებულ ხარვეზებზე ყურადღებას ოპოზოცია, არასამათავრბო სექტორი და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსმართლე წევრები ამახვილებენ, ხოლო დადებით კონტექსტში მთავრობის წარმომადგენლები და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები საუბრობენ. აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სასამართლო სისტემის წინააღმდეგ არსებული მოსაზრებები ისედაც ხელისუფლების მხრიდან მოსამართლეების საქმიანობის ჩარევასა და კლანურ მმართველობაზე მიუთითებს. შესაბამისად, ერთ მხარეს დგას ხელისუფლება და სასამართლო სისტემა და მეორე მხარეს არასამთავრობო სექტორი, პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსმართლე წევრები და საერთაშორისო ორგანიზაციები. სწორედ ამის მაგალითია სიუჟეტი „ ნინო გვენეტაძემ თანამდენობა დატოვა“, რადგან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები, იუსტიციის მინისტრი, ჯანდაცვის მინისტი და „ქართული ოცნების“ წევრები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე ზეწოლას გამორიცხავენ და მის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადადგომომას ეჭვქვეშ არ აყენებენ. მაგალითად, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წევრი ბექა ოდიშარია: *„მე არ მაქვს საბაბი, რომ ვიფიქრო სხვა მიზეზებზე, გარდა იმისა, რაც ქალბატონმა ნინომ წარმოადგინა. ეს ძალიან ჩვეულებრივი, ადამიანური გარემოეება და ამიტომ ჩვენ ვიღებთ ცნობათ, რომ ის ტოვებს თანამდებობას ჯანმრთელობის გაუარესების გამო“* (ქრონიკა, 02.08.2018. სიუჟეტი N2, „ნონო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“).

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრები, როგორც წესი, სასამართლო სისტემის დისკრედიაციასა და მიმდინარე მოვლენების პილიტიკურ ჭრილში გადატანის მცდლეობაზე საუბრობენ. მაგალითად, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი (გიორგი მიქაუტაძე): *„ეს არის კიდევ ერთხელ მცდელობა იმის, რომ რაღაცა, პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ სასამართლოში მიმდინარე მოვლენები..“* ასევე მოსამართლე დიმიტრი გვრიტიშვილი: *„სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არანაირი ზეწოლა და უკანონო ზემოქმედება არასდროს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეზე არ ყოფილა... ეს ყოველთვის არის რაღაცა აი სასასამართლო სისტემის დისკრედიტაციისკენ მიმართული“* (ქრონიკა, 02.08.2018. სიუჟეტი N2, „ნონო გვენეტაძემ თანამდებობა დატოვა“).

სასამართლო სისტემაში არსებულ კრიზისზე ჟურნალისტის მიერ ნახსენები ფაქტებითაც კეთდება აქცენტი, როდესაც ის აღნიშნავს, რომ ნინო გვენეტაძის გადაწყვეტილებაზე 9 არასამთავრობო ორგანიზაციამაც გამოაქვეყნა განცხადება, რომლის მიხედვითაც, სისტემაში მძიმე მდგომარეობაა.

უზენაესი სასამართლოს ახალი თავმჯდომარის შერჩევის კრიტერიუმების განსაზღვრისას, ქრონიკაში ხელისუფლების მხრიდან სასამართლო სისტემაში ჩარევაზე ყურადღება გამახვილდა რესპონდენტების მიერ. მაგალითად, ანა ნაცვლიშილი (ყოფილი პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი): *„ეს იქნება საზოგადოების ფართო ჩართულობით შერჩეული ადამიანი, რომელზეც უარის თქმა ნიშნავს ქართული საზოგადოებისთვის უარის თქმას და დაადასტურებს იმ ეჭვებს, რომ მმართველ პარტიას არა აქვს პოლიტიკური ნება და სურვილი, რომ სასამართლო სისრემა გაუშვას თავისი კონტროლიდან“* (ქრონიკა, 03.08.2018, სიუჟეტი N2, „ვინ ჩაანაცვლებს ნინო გვენეტაძეს“?).

არასამთავრობო სექტორი კი, კლანური მმართველობის გავლენებსა და სასამართლო სისტემაში მძიმე სამუშაო პირობებზე საუბრობს. მაგალითად „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას“ თავმჯდომარე: *„ქალბატონი გვენეტაძე მართალია არ იყო კლანის წევრი, რომელიც მართავს სამწუხაროდ სასამართლო ხელისუფლებას, მაგრამ ამავდროულად ის სათანადოდ პრინციპული, თანმიმდევრული და ეფექტური,*

რომ რეალური ცვლილებები მოეტანა სასამართლო ხელისუფლებისთვის " (09.08.2018, სიუჟეტი N6, „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობა"). ასევე, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" (EMC)-ის წარმომადგენელი სოფო ვერძეული: *„იმ ძალიან მძიმე პირობებს, რომელშიც მოუწევს მუშაობა, გაუმკლავდეს ... სისტემამ არ მოახერხოს მისი გადაბირება ისე, როგორც სხვა შემთხვევებში ჩვენ გვინახავს"* (09.08.2018, სიუჟეტი N6, „უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობა").

4 აგვისტოს, ქრონიკის პირდაპირ ეთერში იუსტიციიი უმაღლესი საბჭოს არამოსმართლე წევრი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომასთან დაკავშირებით წამყვანის შეკითხვებს პასუხობდა, სადაც მან სისტემაში არსებული ვითარება ცალსახად უარყოფითად წამოაჩინა (ნაზი ჯანეზაშვილი): *„ნამდვილად უსვამს ხაზს მისი ეს ნაბიჯი და მისი განცხადება გადადგომის შესახებ, რომ სასამართლო სამწუხაროდ ძალიან ცუდ მდგომარეობაშია, აქ არის კრიზისი. იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, პირველ რიგში, გამოიწვია ეს კრიზისი... მდგომარეობა იმდენად მძიმე სასამართლო სისტემაში, რომ ვხედავთ, რომ სასამართლოს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და საბჭოს თავმჯდომარე ტოვებს პოსტს"* (04.08.2018, ქრონიკა, 37:57 წუთზე, უსათაურო). არამოსმართლე წევრი სისტემაში კლანური მმართველობის არსებობაზე მიუთითებს, რომლის მსხვერპლიც სწორედ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე გახდა, რადგან ის ხშირ შემთხვევაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრებს წინააღმდეგობას უწევდა: „ამას წინ უძღვოდა მოსამართლე წევრების მხრიდან შეტევა, ზეწოლა მისი მისამართით. ეს იყო ჩვეულებრივი ბულინგი... ყველა წევრი სათითაოდ, მორიგეობით უტევდნენ ნინო გვენეტაძეს" (04.08.2018, 48:42 წუთზე, უსათაურო). უმაღლესი საბჭოს არამოსმართლე წევრი ინტერვიუში იმ პირებსაც ასახელებს, რომლებიც მისი თქმით, სასამართლო სისტემას მართავენ და რომელთა რეპუტაციაც სასიკეთო არ არის. ესენი არიან: მოსამართლე ლევან მურუსიძე და მოსამართლე დიმიტრო გვრიტიშვილი.

სწორედ დიმიტრი გვრიტიშვილის ინტერვიუ მოჰყვა ნაზი ჯანეზაშვილის პასუხებს პირდაპირ ეთერში. ის მაქსიმალურად შეეცადა სასამართლო სისტემა და იუსტიციის უმაღლესი საბჭო დადებითად წარმოეჩინა, როგორც დამოუკიდებელი, პოლიტიკური

გავლენებისგან თავისუფალი, არაკორუფციული. მან უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გადადგომა მიზეზად რაიმე ტიპის ზეწოლა გამორიცხა, თუმცა ამის არგუმენტირება ვერ შეძლო. ყველაზე მნიშვნელოვანი მასთან ინტერვიუში იყო ის, რომ სასამართლო სისტემაში კლანური მმართველობის არსებობა მითად გაასაღა. აღნიშნა, რომ ყველა ხელისუფლებას ცდუნებაა აკონტროლოს სასამართლო, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მისი თქმით, მოსამართლებმა ხელისუფლების კონტორლის ქვეშ ყოფნაზე უარი თქვეს და გაერთიანდნენ: *„ანუ, აი საიდან მოდის ეს საუბრები რაღაც აბსტრაქტულ და გავლენიან ჯგუფზე? ე.ი როდესაც ხელისუფლება შეიცვალა ... მოსამართლეები ერთი იდეის გარშემო გავერთიანდით. ეს იყო სასამართლო კორპუსის დაცვა მოსამართლეთა შეუცვლელობის პრინციპის დაცვა ... ხელისიფლებას ვაჩვენეთ, ჩვენ, ჩვენი წარსულის არც გვრცხვენია, არც გვეშინია. შესაბამისად, ხელისუფლებამაც გამომდინარე იმ ევროპული სტანდარტების გაზიარებიდან და ასევე ჩვენი აი ამ, ჩვენ , რეალურადაც ყველა დარწმუნებული იყო, ყველა დარწმუნდა, ვინც ობიექტურად მიუდგება მოსამართლეეების საქმიანობას, ყველა მიხვდება იმას, რომ ვთქვათ, გასული წლებისგან განსხვავებით კორუფცია სასამართლო სისტემაში არ იყო. რეალურად სასამართლო წინ წავიდა“* (04.08.2018, ქრონიკა, 48:42 წუთზე, უსათაურო).

„იმედის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში უზენაესი სასამართლოს მოსამართლის გადადგომის გაშუქება სასამართლო სისტემაში არსებულ პოლარიზებას ნათლად აჩვენებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს როგორც მოსამართლე, ისე არამოსამართლე წევრების არგუმენტირებული საუბრის მიუხედავად, ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციას წარმოადგენენ, რაც ხშირ შემთხვევაში მაყურებლის დაბნეულობას იწვევს და ამ სტრუქტურაში პოლარიზებას აჩვენებს. სასამართლო არ არის წარმოდგენილი, როგორც ცალკე მდგომი სახელისუფლებო შტო, არამედ როგორც მთავრობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილი. სასამართლო მართულ, არადამოუკიდებელ ორგანოდაა წარმოჩენილი.

„ რუსთავი 2“

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის, ნონო გვენეტაძის გადადგომა „რუსთავი 2“-ზე 2 აგვისტოდან 14 აგვისტოს ჩათვლით შუქდებოდა. პირველივე დღეს, როდესაც ნინო

გვენეტაძე გადადგა კურიერის მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში სიუჟეტი „გვენეტაძე გადადგა“, მომზადდა, სადაც სასამართლო სისტემა მკვეთრად უარყოფითად რეპრეზენტირდა. სიუჟეტის დასაწყისშივე ჟურნალისტმა თავმჯდომარის გადადგომის მიზეზად ჯანრმთელობის გაუარესების დასახელება ეჭვქვეშ დააყენა, რასაც შემდგომში მესამე სექტორის, ყოფილი პრეზიდენტის, ოპოზიციური პარტიებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების კომენტარებით გამყარდა. მათი მხრიდან სასამართლო სისტემა წარმოჩენილია, როგორც კონკრეტული ჯგუფების გავლენის ქვეშ მყოფი, მოძალადე მოსამართლეების შემადგენლობით და ბევრი პრობლემით. ნინო გვენეტაძის გადადგომას გამოეხმაურა ყოფილი პრეზიდენტი, გიორგი მარგველაშვილი და სწორედ მის კომენტარში იკვეთება, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ძალადობის მსხვერპლია: *"როდესაც ქვეყნის პირველი მოსამართლე ამბობს , რომ ის ძალადობის მსხვერპლია. მე მინდა რომ ეს გადადგომაც არ იყოს ისევე მიჩქმალული, როგორიც ბევრი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში...“* (კურიერი, 02.08.2018,სიუჟეტი N1 „გვენეტაძე გადადგა“)

ნინო გვენეტაძის გადადგომის მიზეზებსე საუბრისას არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოამდგენელების კომენტარებშიც ჩანს, რომ სასამართლო სისტემაში ისეთი ხარვეზები არსებობს, რომლებიც კრიზისული სიტუაციას ქმნის. მაგალითად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი, ეკა გიგაური: *"გვენეტაძის გადადგომის 2 მიზეზი შეიძლება ყოფილიყო.ერთ შემთხვევაში მან უბრალოდ ველარ ნახა რესურსი თავის თავში, რომ აი ეს პრობლემატური სისტემა მართოს ან და ამიტომ გადადგა და მეორე შემთხვევაში შესაძლებელია , რომ მასზე ვიღაცამ ზეგავლენა მოახდინა “* (კურიერი, 02.08.2018,სიუჟეტი N1 „გვენეტაძე გადადგა“).

„რუსთავი 2“-ზე ნინო გვენეტაძის გადადგომა, როგორც სხვა შემთხვევები პოლიტიკურ ჭრილში გაშუქდა. გვენეტაძის გადადგომა ხელისუფლებისა და ბიძინა ივანიშვილის მხრიდან სასამართლო სისტემაში ჩარევის კიდევ ერთ მცდელობად განიხილებოდა. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელები კურიერთან კომენტარის გაკეთებისას სასამართლო სისტემაში ბიძინა ივანიშვილის გავლენებზე საურობენ. ოპოზიციურ პარტიად კი მხოლოდ „ერთიანი ნაციონალიური მოძრაობისა“ და „ევროპული

საქართველოს“ წევრები გვევლიენებიან. მაგალითად, ნიკა მელია („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“): *"ბატონი ივანიშვილი, საკმარისად როგორც ჩანს არ ენდობოდა არჩევნებამდე ქალბატონ გვენეტაძეს, ვინაიდან საარჩევნო დავები იქნება გარდაუვალი ამ ხელისუფლების პირობებში და მიაჩნია, რომ ჯობია გააკეთოს ფსონი ჩინჩალაძეზე, არის იქ ცნობილი ჩინჩალაძე, მურუსიძე და ასე გაამყაროს კიდევ უფრო პოზიცია. ეს არ ნიშნავს რომ ქალბატონი გვენეტაძე იყო მიუკერძოებელი, სამართლიანი და ობიექტური არა პირიქით..."* (კურიერი, 02.08.2018,სიუჟეტი N1 „გვენეტაძე გადადგა“). შემდგომში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ახალი კანდიდატის შერჩევის პროცესს ჟურნალისტი ისე წარმოაჩენს, რომ ქართულ ოცნებას სასამართლო სისტემის კონტროლი სურს და პროცესს ძალით აჭიანურებს. მაგალითად, ჟურნალისტი აღნიშნავს: *„საკითხი მარტივად დგას, გიორგი მარგველაშვილი მისი პრეზიდენტობის ვადაში უზენაესი სასამრთლოს თავმჯდომარის კანდუდატურის წარდგენას კი მოასწრებს, მაგრამ დაამტკიცებს თუ არა მას ოქტომბრის ბოლომდე, ანუ პრეზიდენტის არჩევნებამდე პარლამენტი, ეს ქართული ოცნების გადასაწყვეტია“* (კურიერი, 09.08.2018, N3, „პრეზიდენტის კონსულტაციები“). სახელმწიფოს მხრიდან სასამართლოს სისტემის კონტროლის დაწესების მცდელობაზე 14 აგვისტოს გასულ სიუჟეტშიც მახვილდება ყურადღება, რომელშიც საუბარია, რომ მთავრობა პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატის მოიშორებას ცდილობს და ყველფერს აკეთებს, რათა იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდიომარის კანდიდატურა ახალი კონსტიტუციის ფარგლებში წარადგინოს(კურიერი, 14.08.2018, N3, უარი პრეზიდენტს).

როგორც წესი, აღნიშნულ შემთხვევაზეც მიხეილ სააკაშვილის კომენტარიც ჩაწერილია, რომელიც სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესებს კვლავ ბიძინა ივანიშვილს უკავშირებს: *„დღეს გვენეტაძე შეცვალა ივანიშვილის პირადმა ნოტარიუსმა, ქართუს იურიდიული სამსახურის ყოფილმა უფროსმა, იურიდიული წრეებისთვის სამარცხვინოდ ცნობილმა მზია თოდუამ“* (კურიერი, 02.08.2018,სიუჟეტი N1 „გვენეტაძე გადადგა“).

სასამართლო სისტემა კურიერის წამყვანის მხრიდანაც ცალსახად უარყოფითადაა წამოჩენილი, როდესაც ის ნინო გვენეტაძის მუშაობის სამ წელს აჯამებს. თუ

ტელეკომპანია „იმედმა“ აქცენტი გვენეტაძის პერიოდში გახორციელებულ წარმატებულ რეფორმებზე გააკეთა, კურიერში სასამართლო სისტემის მხოლოდ უარყოფით მხარეებზეა საუბარი. წამყვანი უზენაესი სასამართლოს ყოფილ თავმჯდომარეს სკანდალურ პერსონად მოიხსენიებს, რომელმაც საზოგადოებას თავი რეზონანსული საქმეებით, ტესტების სკანდალი, მოსამართლეების ხმაურიანი დანიშვნით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უკიდურესად დაძაბული სხდომებით და ა.შ დაამახსოვრა. აღნიშნავს, რომ ნინო გვენეტაძეს ხშირად აკრიტიკებდნენ და დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემის ნაცვლად „ყოველთვის უკანა კარიდან გადიოდა“ (კურიერი, 02.08.2018, სიუჟეტი N2, „გვენეტაძის 3 წელი“). წამყვანმა სასამართლო სისტემაში კლანური მმართველობის არსებობაზეც მიუთითა, რის დასტურადაც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ კვლევა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების შეფასებები მოიყვანა.

გვენეტაძის გადადგომაზე კომენტარის გაკეთებისას სასამართლო სისტემა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრმა, ანა დოლოძემაც უარყოფითად წარმოაჩინა: *"მისი ეს გადაწყვეტილება არის სასამართლოში არსებული მძიმე ვითარების დიაგნოზი. სასამართლოში გაბატონებული დაჯგუფება და მისი გავლენები ქართული ოცნების მიერ რეალურ სასამრთლო რეფორმაზე ფაქტობრივად უარის თქმა და მთელი რიგი გადაწყვეტილებები რომელთან დაკავშირებითაც არსებობს კითხვის ნიშნები ქმნიდა ვითარებას, რომელთანაც გამკლავებას სჭირდებოდა არაადამიანური ძალა "* (კურიერი, 02.08.2018, სიუჟეტი N3, უსათაურო).

მიუხედავად იმისა, რომ 2 აგვისტოს ნინო გვენეტაძის გადადგომაზე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმაც გააკეთა კომენტარი, მისი მსჯელობა საკმარისად არგუმენტირებული და დამაჯერებელი არ იყო. საბჭოს მდივანის კომენტარი მხოლოდ სიუჟეტის ბოლოსაა, სადაც აღნიშნავს, რომ არსებული მოსაზრებები გვენეტაძის გადადგომასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მცდელობაა იმისა, რომ სასამართლოში მიმდინარე მოვლენები პოლიტიკურ ჭრილში გადაიტანონ.

სასმართლო სისტემა და მოსამართლეები განსაკუთრებით უარყოფითი იმიჯით აგვისტოს შაბათის კურიერში გაშუქდა. ერთ-ერთი სიუჟეტის სათაურიც კი უარყოფით

კონტექსტზე მიუთითებს და მოსამართლეებს ცინიკურად მოიხსენიებს - „მანტიამოსხმულების ომი“ (04.08.2018, სიუჟეტი N4). შაბათის კურიერის წამყვანი, ნოდარ მელაძე, გვენეტაძის გადადგომის განხილვისას შანტაჟზე, ზეწოლაზსა და კლანურ მმართველობაზე ამახვილებს ყურადღებას: *„ მასზე კომპრომატები სასამართლოს რუხი კარდინალების ჯგუფმა შეაგროვა და პროკურატურაში გააგზავნა. გამოძიება საქმეზე, რომლის სავარაუდო ბრალდებულიც შესაძლოა ნინო გვენეტაძე ყოფილიყო, უკვე 2 წელია მიდის. დაკავების და იმპიჩმენტის შიშით კი ნინო გვენეტაძეს ამ დროის განმავლობაში, ბევრ ანტისახელმწიფოებრივ გადაწყვეტილებაზე მოაწერინეს ხელი და სასამართლოც დაანგრევინეს ამბობენ ყოფილი მოსამართლეები. ბოლოს გვენეტაძე იძულებული გახდა თავად წასულიყო“* (04.08.2018, N4, „მანტიამოსხმულების ომი“). სასამართლო სისტემაში კლანური მმართველობის არსებობაზე წამყვანი სტუდია მონიტორის მიერ ჩატარებულ გამოძიებას იხსენებს და ამბობს, რომ სისტემა სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის, მიხეილ ჩინჩალაძის ხელშია.

აღსანიშნია, რომ კურიერში პირველად გვხვდება მოქმედი მოსამართლის კომენტარი, რომელიც ნინო გვენეტაძის გადადგომაზე საუბრისას სისტემას უპირისპირდება. მაგალითად, წამყვანი აღნიშნავს, რომ მოქმედი მოსამართლე, ირაკლი შავაძე, კურიერს უყვება: *"როცა მე მას ვუყვებოდი, ჩემს ირგვლივ განვითარებული მოვლენების შესახებ ბათუმის საქალაქო სასამართლოში, მან ჩემთან საუბრისას განაცხადა , რომ მას არაფერი არ უკვირდა ამიტომ, ის გაცილებით უარეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე მე ვიყავი“*(04.08.2018, N4, „მანტიამოსხმულების ომი“).

უზენაესი სასმართლოს მოსამართლის გადადგომის „ მამა გიორგი მამალაძის-ციაინიდის საქმესთან“ კავშირი ყველაზე მკვეთრად და ვრცლად „რუსთავი 2“-მა გააშუქა, რაც ქრონიკაში მხოლოდ ერთი ფრაზით ახსენეს. ნინო გვენეტაძის გადაგომა დროში უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემთხვა, რომლის მიხედვითაც, უზენაესმა სასამართლომ მამა გიორგი მამალაძის საქმე წარმოებაში არ მიიღო. ამ ეჭვს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრის კომენტარის ადასტურებს. მაგალითად, ანა დოლიძე ამბობს, რომ ბევრი საქმეა კითხვის ნიშნის ქვეშ, მათ შორის მამა გიორგი მამალაძის საქმეზე მიღბული გადაწყვეტილება, რომელზეც პასუხს ვერ იძლევა სასამართლო და შემთხვევითი არ არის რომ ამის შემდეგ გადადგა ის

(04.08.2018, N4, „მანტიამოსხმულების ომი“). ამ ეჭვის გასამტკიცებლად კურიერში ვალკე სიუჟეტი გავიდა, სადაც მამა გიორგი მამალაძე კომენტარს აკეთებს და გვენეტაძის გადადგომას ციანიდის საქმესთან აკავშირებს. მამა გიორგი მამალაძე საუბრობს რომ საკითხი დაკვეთით არის შესრულებული და მასში ბევრი მხარე ფიგურირებს. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომასაც მის საქმეს უკავშირებს (04.08.2018, N5, უსათაურო).

საბოლოოდ, „რუსთავი 2“-ზე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომა სასამართლო სისტემას ცალსახად უარყოფით კონტექსტში წარმოაჩენს. ქრონიკაში გასული სიუჟეტებისგან განსხვავებით, რომელბმაც აზრთა სხვადასხვაობის გამო შესაძლოა მაყურებელში დაბნეულობა გამოიწვიოს, კურიერში ასეთი რამ არ შეიმჩნევა. კურიერის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ნინო გვენეტაძის გადადგომა სასამართლო სისტემის იმიჯს აჩვენებს, როგორც: კლანური მმართველობისა და ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი ორგანო, რომელიც ექვემდებარება კონკრეტული ჯგუფების გავლენებს. ის ადამიანები ვინც მათ წინააღმდეგ მოქმედებს სისტემის მსხვერპლი ხდება, როგორც ეს ნინო გვენეტაძის შემთხვევაში მოხდა. კურიერმა აღნიშნული შემთხვევა უფრო მეტად პოლიტიკურ ჭრილში განიხილა და „ქართული ოცნების“ მხრიდან სასამართლო სისიტემის კონტროლზე გაამახვილა ყურადღება. გარდა ამისა, „რუსთავი 2“-მა უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის გადადგომის შესაძლო კავშირი მამა გიორგი მამალაძის საქმესთან სიღრმისეულად განიხილა.

3. ექსპერტთა გამოკითვის შედეგები

ექსპერტებს პირველ რიგში საქართველოში არსებული მედია გარემო უნდა შეფასებინათ და შემდეგ ესაუბრათ იმაზე, თუ რამდენად აისახება ეს გარემო სასამართლო საკითხების გაშუქებაზე. ექსპერტთა გამოკითხვის შედეგებით, საქართველოში არსებული მედია გარემო შეფასებულია, როგორც ნახევრად თვისუფალი, პოლარიზებული, რომელიც პოლიტიკურ გავლენებს განიცდის. ისინი საუბრობენ არა ხელისუფლების, არამედ კონკრეტული პარტიების გავლენებსა და კომერციულ ინტერესებზე. თავიანთი პოზიციის გასამყარებლად მაგალითისთვის სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების კვლევის შედეგები მოჰყავთ. ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ყოველთვის ახლაც ხელისუფლების ინტერესების გამტარებლია.

„მედია პოლარიზებულია, რომელიც თიშავს საზოგადოებრივ აზრს, ან პოლარიზებას ქმნის... „მედია განიცდის პოლიტიკურ ზეგავლენას, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიული მედიები ოპერირებენ“. „საზოგადოებრივი მაუწყებელი წესით სუპერ დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ ის ყველა ხელისუფლების დროს არის სახელისუფლებო“ (მედია ფსიქოლოგი, საზოგადოებასთან ურთოერთობის სპეციალისტი).

„მედია არის პოლარიზებული, გვყავს ძალიან გამოკვეთილი მედია საშუალებები და ასევე ოპოზიციური მედია საშუალებები“ (მკვლევარი).

„მედიის მდგომარეობა ასეთია: მედია არის თავისუფალი სახელმწიფოს რეპრესიული ჩარევებისგან (შემზღუდველი კანონმდებლობა), მაგრამ მედია არ არის დამოუკიდებელი პოლიტიკური კლიენტელისტური გავლენებისგან. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა სატელევიზიო მედიის მაგალითზე, რადგან პოლიტიკური სუბიექტები მას ისევ ყველაზე გავლენიან მედიუმად მიიჩნევენ თავიანთი იდეების გასავრცელებლად“ (მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი).

გამოკითხული ექსპერტები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი მედია საშუალების დღის წესრიგს პოლიტიკური ფრეიმი განსაზღვრავს და სწორედ პოლიტიკაა ის საკითხი,

რომელსაც საინფორმაციო გამოცემებში სატელევიზიო მედია ყველაზე დიდ დროს უთმობს. სასამართლო სისტემის გაშუქებისას მედია მიმდინარე პროცესებს სწორედ პოლიტიკურ ფრეიმში გადმოსცემს. საზოგადოებრივი მაუწყებელი თითქოს დამოუკიდებელია პარტიული გავლენებისგან, მაგრამ მოვლენებს საფუძვლიანად არ აშუქებს.

„პოლიტიკური დღის წესრიგი განსაზღვრავს ისევ და ისევ იმას, სასამრთლო თემებიდან რა იქნება წინ წამოწეული“ (მედია ფსიქოლოგი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი).

ექსპერტთა თქმით, საკითხები, რომლებიც სასამართლოს უკავშირდება იმის მიხედვით შუქდება, თუ რამდენად სკანდალური და სენსაციურია. აქცენტი უმეტესად კონკრეტულ პიროვნებებზე კეთდება, რაც წარმოაჩენს სასამართლო სისტემას უარყოფით კონტექსტში. მოსამართლეთა გადაწყვეტილებების სამოტივაციო ნაწილის გაშუქებას საინფორმაციო გადაცემებში თითქმის საერთოდ არ ვხვდებით, რაც მათ კონკრეტული განაჩენის არგუმეტებით ახსნის საშუალებას მისცემდა. არსებული გარემოება კი, სასამართლო სისტემის იმიჯზე ცალსახად უარყოფითად მოქმედებს.

„სასამართლო თემები ხშირად შუქდება იმის მიხედვით, რამდენად არის სენსაციური,. სკანდალური, ხმაურიანი და ასე შემდეგ. თუ კი რომელიმე მოსამართლე არ არის წარსულში გახმაურებული საქმის მოსამართლე, მაშინ ამაზე აქცენტი მე პირადად არ მხვდება“ (პოლიტიკური მიმართულების პროდიუსერი).

„ამ ბოლო დროს ძალიან ხშირად, თუმცა არა სასამართლოს, როგორც სისტემის, არამედ კონკრეტული პიროვნებების კონტექსტში. მურუსიძე-ჩინჩალაძე-გვრიტიშვილი... მურუსიძის სასამართლო... შავგულიძე-მურუსიძე.... დოლიძე-ჯანეზაშვილი.... გახმაურებული საქმეების მოსამართლეები... ეს გვარები და კლიშეები იცის ყველამ ზეპირად, თუმცა არ იცის, რა კონტექსტის ნაწილები თუ ელემენტებია ეს გვარები. გაშუქების ეს სიხშირე და ამგვარი მიდგომა სტიქიურად მუშაობს სასამართლოს როგორც სისტემის იმიჯის სრულ პროფანაციასა და დისკრედიტაციაზე... დღეს აქვს ძალიან ნეგატიური გავლენა. მედიას სასამართლო მუდმივად შერცხვენის პროცესში

ჰყავს და იწვევს სასამართლოს მიმართ სრულ უნდობლობას.“ (მასობრივი კომუნიკაციების დოქტორი).

თუმცა, ერთ-ერთმა რესპონდენტმა განსხვავებული პოზიცია დააფიქსირა, რომელიც ფიქრობს, სასამართლოს იმიჯზე მედია დიდ გავლენას არ ახდენს, რადგან სასამართლო სისტემას აქვს პრობლემები და ჟურნალისტები რეალობას აშუქებენ.

„მე არ ვფიქრობ, რომ მედიამ ხელოვნურად შეუქმნა სასამართლოს ისეთი საძაგელი იმიჯი, როგორიც აქვს... არა მარტო მურუსიძის, მიქაუტაძის და ჩინჩალაძის გვარი უნდა ვიცოდეთ, არამედ ყველა სხვა მოსამართლის გვარი უნდა ვიცოდეთ და თუ არიან ერთეული გამორჩეული, პატიოსანი და კვალიფიციური მოსამართლები უნდა ვიცოდეთ.. . „ეგენი ისეთ კრიზისში არიან, არანარირი კომუნიკაცია მაგათ არ უშველით“ (ჟურნალისტი).

ექსპერტებმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში მომხდარი მოვლენები გაიხსენეს, რომლებიც შეიძლება სასამართლო სისტემის კრიზისად ჩაითვალოს და რომლის დროსაც სასამართლოს მხრიდან კომუნიკაციის კუთხით დაშვებული შეცდომა განსაკუთებით თვალსაჩინო იყო. ყველა მათგანმა დაასახელა უზენაესი სასამართლოს მოსამართლის, ნინო გვენეტაძის, გადადგომა. აღნიშნეს, რომ ნინო გვენეტაზის გადადგომის მიზეზად ჯანმრთელობის მდგომარეობის დასახელებამ საზოგადოებაში უნდობლობა გამოწვია, ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალი ამ შემთხვევაში თავად ნინო გვენეტაძის მედიასთან გამოჩენა იქნებოდა.

„თავად გვენეტაძე უნდა გამოსულიყო და გაეკეთებინა განცხადება...ეს ბევრად შეცვლიდა. ადამიანს როცა უყურებ რო თვითონ გელაპარაკება, ეს ცვლის რაღაცეებს “ (პოლიტიკური მიმართულების პროდიუსერი).

„გვენეტაძის გადადგომა თვენახევრის განმავლობაში იყო სასმართლოს იმიჯზე დარტყმა, იმიტო რო იყო ლაპარაკი, რო ზეწოლა იყო ამ გვენეტაძეზე და იმიტო გადადგა და მასაც არ გაუკეთებია დიდად განმარტება, მარტო ის ოფიციალური წერილი, რაც გამოაქვეყნა... თითქოს არის რაღაც მმართველი ძალა, რომელიც მართავს

და აძლევს მითითებას, რო აი ვსო გეყოფატ ამათი ტანჯვა, ეხლა გავუშვათ და ყველა უცებ გამოუშვა“ (მკვლევარი).

რესპონდენტებმა უპასუხეს კითხვაზე, თუ როგორი უნდა იყოს კომუნუკაცია მედიასა და სასამართლო სისტემას შორის, რომ საზოგადოებაში მეტი ნდობა გამოიწვიოს სასამართლო სისტემამ. გამოკითხული ექსპერტები თანხმდებიან, რომ სასამართლო ღია და გამჭვირვალე უნდა იყოს. მოსამართლეებმა საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საინტერესო საქმეებზე, რომლებიც საზოგადოებაში უნდობლობას იწვევეს და ეჭვქვეშ აყენებს მოსამართლის გადაწყვეტილებას, განმარტებითი განცხადებები უნდა გაკეთთონ. ეს განმარტებები კი საზოგადიების ყველა წევსისთვის გასაგებ ენაზე გახმოვანდეს, რადგან ისინი ხშიად უმრავლესობისთვის გაურკვეველ ენაზე საუბრობენ. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ამ მხრივ მნიშვნელოვანია სპიკერ მოსამართლეების ინსტიტუტის ამოქმედება. მათი თქმით, სატელევიზიო მედიამ სასამართლო სისტემაში გატარებული და სამომავლო რეფორმები უნდა გააშუქოს, რაც საზოგადოებას დაანახებს, რომ ამ სისტემში ცვლილებები მიმდინარეობს.

„მოსამართლე სპიკერების ინსტიტუტი არის ძაან მნიშვნელოვანი. მოსამართლეები პრაქტიკულად არ ჩნდებიან მედიასთან და არ საუბრობენ, რაც არის ჩემი აზრით პრობლემა...კომუნიკაცია არ იციან მედიასთანდა სულ შეცდომას უშვებენ“ (მედია ფსიქოლოგი, საზოგადიებასთან ურთიერთობის სპეციალისტი).

„მოსამართლეებმა განცხადებები გააკეთონ ისეთ საკიტხებზე რაც საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს... სპიკერ მოსამართლეების ინსტიტური. ცალკეულ სასამართლოს რო ყავდეს. მე ზოგადად არ მომწონს რო მოსამართლეები არ ჩანან მედიაში და მარტო კადრები და გადაწყვეტილებიდან მონაკვეთი ჩანს. სასამრთლო სისტემაში მიმდინარე პროცესებზე რო გავიგოთ მათი აზრი“(მკვლევარი).

საბოლოოდ, ექსპერტებმა მედია გარემო შეაფასეს, როგორც ნახევრად თავისუფალი, პოლარიზებული, რომელიც პოლიტიკური პარტიებისა და კომერციულ ინტერესების ზეგავლენას განიცდის. არსებული გარემოებიდან გამომდინარე, მედიის დღის წესრიგის განმსაზღვრელია პოლიტიკა და სასამართლო საკითხების გაშუქებაზეც სწორედ პოლიტიკა ახდენს გავლენას. გარდა ამისა, სასამართლო სისტემაში მიმდინარე

მოვლენების გაშუქება ამბის სენსაციურობასა და სკანდალურობაზეა დამოკიდებული და მედია სამართლებრივი საკითხების სიღრმისეულ გაშუქებაზე ორიენტირებული თითქმის საერთოდ არის. მათი თმქით, პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ მოსამართლეები მედიასთან კომენტარებს არ აკეთებენ და ისურვებდნენ, რომ მეტად ღია და გამჭვირვალე გახდეს სასამართლო სისტემა საზოგადოებისთვის.

დასკვნა

სამი სატელევიზიო არხის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ სასამართლო ნაკლებად პროაქტიურია, განსაკუთრებით, როცა საქმე სისტემაში არსებულ გამოწვევებზე, რეფორმებსა და მიღწევებზე საგნობრივ მსჯელობას ეხება. მონიტორინგის პერიოდში სასამართლო სისტემაში მიმდინარე რეფორმებზე „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის“, „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში სულ რამდენიმე სიუჟეტი გავიდა, სადაც გადმოცემული იყო ინფორმაცია რეფორმის ცალკეული კომპონენტების შესახებ. მაგალითად, მოსამართლეების დისციპლინურ დევნაზე გადაცდომების ნაწილის არამოსამართლე წევრებზე გავრცელება, მოსამართლეების მიერ საკვალიფიკაციო გამოცდების ელექტრონულად ჩატარება, საპარლამენტო მუშაობა რეფორმების მეოთხე ტალღაზე. ასეთ სიუჟეტებში სასამართლო სისტემის წარმომადგენლებიდან ძირითადად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე და არამოსამართლე წევრები იყვნენ წარმოდგენილნი, რომლებიც არგუმენტირებული საუბრის მიუხედავად, ერთმანეთის საწინააღმდეგო პოზიციას წარმოადგენდნენ, რაც ხშირ შემთხვევაში მაყურებლის დაბნეულობას იწვევდა და აჩვენებდა პოლარიზებას ამ სტრუქტურაში. ჩემ მიერ ჩატარებული ექსპერტთა გამოკითხვაც ადასტურებს, რომ სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას აქცენტი ნაკლებად კეთდება ზემოთ აღნიშნულ ასპექტებზე და სასამართლო სისტემის გაშუქებისას მედია მიმდინარე პროცესებს პოლიტიკურ ფრეიმში გადმოსცემს. სასამართლო სისტემაში მიმდინარე მოვლენების გაშუქება ამბის სენსაციურობასა და სკანდალურობაზეა დამოკიდებული და მედია სამართლებრივი საკითხების სიღრმისეულ გაშუქებაზე ორიენტირებული თითქმის საერთოდ არის.

სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებისას არხებს შორის პოლარიზება შეინიშნება. ჩემ მიერ გამოკითხული რესპონდენტებიც მედიის პოლარიზებაზე საუბრობენ და არსებულ მედიაგარემოს პოლიტიკური პარტიებისა და კომერციული ინტერესების ზეგავლენის ქვეშ მყოფად ახასიათებენ. მაუწყებლებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ „საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი“

გადაწყვეტილებებსა და სისტემაში მიმდინარე პროცესებს მშრალად გადმოსცემს. თუმცა საზოგადოებრივი მაუწყებელის პირველი არხი, ტელეკომპანია „იმედი“-სგან და „რუსთავი 2“-სგან განსხვავებით, სასამართლოს ოფიციალურ განცხადებებს რეზონანსულ საქმეებზე მოსამართლის განჩინებასთან დაკავშირებით ყოველთვის ავრცელებს, რაც უფრო ნათელს ხდის კონკრეტული გადაწყვეტილებების მიზეზებს და საზოგადოებაში მეტ სანდოობას იწვევს. მიუხედავად ამისა, მოამბის მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში სასამართლო სისტემის კრიზისული შემთხვევების გაშუქება ზედაპირულია, რადგან იშვიათად ვხვდებით მხარეთა კომენტარებს, განსაკუთრებით კი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მოსამართლე წევრების, ან გადაწყვეტილების მიმღები პირების პოზიციებს. არის შემთხვევები, როდესაც მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში არც კი ხვდება სასამართლო სისტემისთვის იმიჯისთვის საზიანო მოვლენების გაშუქება. მაგალითად, მოსამართლე ლევან მურუსიძისა და თემიდას პრეზერვატივზე გამოსახვა.

საზოგადოებრივი „მაუწყებლის პირველი არხისგან“ განსხვავებით, ტელეკომპანია „იმედის“ მთავარ საინფორმაციო გამოშვებები უფრო მეტად ინფორმაციული, ვრცელი და მხარეთა პოზიციებით დაბალანსებულია. ქრონიკაში სასამართლო სისტემის კრიზისული სიტუაციების გაშუქებისას უფრო მეტად სისტემაში განხორციელებულ რეფორმებზე კეთდება აქცენტი, მაშინ როდესაც „რუსთავი2“ შეთხვევის გაშუქებისას მიმართულია, რაც შეიძლება მეტი უარყოფითი პოზიცია აჩვენოს. „ქრონიკის“ წამყვანები და ჟურნალისტები კრიტიკულ კომენტარს სასამართლო სისტემაში მიმდინარე პროცესების გაშუქებისას არასდროს აკეთებენ, მაშინ როდესაც „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტები და წამყვანები ამბის თხრობისას უარყოფითი კონტექსტის წინ წამოწევას მაქსიმალურად ცდილობენ. ქრონიკაში გასული სიუჟეტებისგან განსხვავებით, რომლებმაც შესაძლოა მაყურებელში დაბნეულობა გამოიწვიოს რესპონდენტთა აზრის სხვადასხვაობის გამო, „კურიერში“ ასეთი რამ არ შეიმჩნევა. კურიერის სიუჟეტები ძირითადად სასამართლო სისტემის იმიჯისთვის საზიანო კომენტარებითაა დატვირთული და ამავდროულად პოლიტიზებული. ხშირად არარელევანტურ რესპონდენტებს ვხვდებით, რაც გულისხმობს იმას, რომ უმეტეს შემთხვევაში „ნაციონალური მოძრაობისა“ და მიხეილ სააკაშვილის პოზიციებია

წარმოჩენილი მაშინ, როდესაც კონკრეტულ შემთხვევასთან საერთოდ კავშირში არ არის. გამოკითხული ექსპერტებიც ინტერვიუებში სწორედ პოლიტიკური პარტიების გავლენებზე საუბრობენ და სასამართლო სისტემის გაშუქებისას პოლიტიკურ ფრეიმებზე მიუთითებენ.

მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამივე არხის შემთხვევაში სასამართლო სისტემა არასამთავრობო სექტორის, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრების, ყოფილი პრეზიდენტისა (გიორგი მარგველაშვილის) და ოპოზიციური პარტიების მხირდან წარმოჩენილია, როგორც :

- კლანური მმართველობის ორგანო;
- ხელისუფლების გავლენის ქვეშ მყოფი და მთავრობის ინტერესების გამტარებელი;
- ბიუჯეტის არამიზნობრივად მხარჯველი;
- არაკონსტიტუციური გადაწყვეტილების მიმღები;
- არაკომპეტენტური და კორუმპირებული მოსამართლეებისგან შემდგარი.

რაც შეეხება თავად მოსამართლეების კომუნიკაციას საზოგადოებასთან, სიუჟეტებში უმეტესად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის გიორგი მიქაუტაძისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის დიმიტრი გვრიტიშვილის ძალიან პატარა კომენტარებს ვხვდებით, რომლებიც თავის დაცვას ცდილობენ და მათ წინააღმდეგ გამოთქმულ მოსაზრებებს არგუმენტირებულად ვერ აბათილებენ. მათ მხარდამჭერად და დამცველად მმართველი პარტიის წარმომადგენლები გვევლინებიან, რაც საზოგადოებაში შეიძლება ნაკლებ ნდობას იწვევდეს.

როგორც სამაუწყებლო მედიაზე დაკვირვება, ისე ექსპერთა გამოკითხვა აჩვენებს, რომ კრიზისული სიტუაციების დროს სასამართლოს წარმოამდგენელებსა და მედიას შორის კომუნიკაცია ხარვეზებით მიმდინარეობს. მოსამართლეები მედიასთან მაშინაც კი არ საუბრობენ, როდესაც მათი მხრიდან საზოგადოება განმარტებებს ელის. სასამართლო სისტემის კრიზისული კომუნიკაციის წინასწარი გეგმის არსებობა არ შეიმჩნევა შემთხვევების გაშუქებისას. სასამართლოს წარმომამდგენლები კრიზისულ სიტუაციაზე წინასწარ არასდროს საუბრობენ, ისინი მხოლოდ თავს იცავენ.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ როგორც განხილულ ლიტერატურაშია აღნიშნული, მაუწყებლებს ახალი ამბების გაშუქებისას ახასიათებთ მიკერძოება, ამბის შემოკლება, თემიდან გადახვევა, დამალვა. დღევანდელი მედიის მიზანია, რომ აუდიტორია არ ჩაუღრმავდეს რეალურ მოვლენას, რომელსაც გასართობ ელფერს აძლევს. მედია ძირითადად სენსაციურ და სათავგადასავლო ამბებზეა ორიენტირებული (Habermas, 1962,1976). იგივე შეიძლება ითქვას სასამართლო საკითხების გაშუქებისას, რომ მედია მხარეებს შორის არსებული კონფლიქტების გაშუქებისკენ ისწრაფვის. მხოლოდ ძალიან მცირე შემთხვევათა რაოდენობაა ისეთი, რა დროსაც მედია სასამართლოსთან დაკავშირებულ საკითხს იმ ჩარჩოში აშუქებს, რომელიც წმინდად იურიდიულ საკითხებზეა ფოკუსირებული. უმეტესად, მედია მიდრეკილია კონფლიქტებისა და ძალადობის გაშუქებისკენ (Sauvageau, Schneiderman, Taras, 2006). იმის გამო, რომ სასამართლოს არ ძალუძს მედიაზე უშუალო ზემოქმედება, განსხვავებით სხვა პოლიტიკური აქტორებისაგან, სასამართლო თავისი გააწყვეტილებების სხვადასხვა ჩარჩოში ფორმირების შესაძლებლობას ტოვებს. შესაბამისად, პრესა და ტელევიზია აშკარად განსაკუთრებულ როლს თამაშობენ სასამართლოს მიერ გამოხატული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის ნაკადის შექმნაში (Franklin & Kosaki, 1995).

რეკომენდაციები

სატელევიზიო მაუწყებლების მთავარ საინფორმაციო გამოშვებებზე დაკვირვებისა და ექსპერტთა გამოკითხვის შედეგად შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები იმისთვის, რომ სასამართლოს საქმიანობა უფრო გამჭვირვალე გახდეს და საზოგადოებაში მეტი ნდობა მოიპოვოს:

- მედიასაშუალებებში მოსამართლეებსა და დანარჩენ საზოგადოებას შორის დისტანცია უნდა შემცირდეს და განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის საქმეებზე მოსამართლეებმა განმარტებები ყველასთვის გასაგებ ენაზე უნდა გააკეთონ. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სპიკერ - მოსამართლეების ინსტიტუტი.
- სასამართლო სისტემის მუშაობის შესახებ საზოგადოებას მეტი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. აქ იგულისხმება, როგორც სასამართლო სისტემაში გახორციელებული რეფორმები, ისე სასამართლოს ფუნქცია-მოვალეობები და კომპეტენციები.
- მოსამართლეთა თანამდებობის ცვლილებების შესახებ საეჭვო მიზეზების ასაცილებლად, მედიასთან განმარტებები იმ მოსამართლეებმა უნდა გაახმოვანონ, რომლებიც სამსახურს ტოვებენ.
- მოსამართლეებმა კონკრეტულ შემთხვევებზე არგუმენტირებულად უნდა იმსჯელონ და მხოლოდ თავდაცვის პოზიციაში არ უნდა იყვნენ.
- იმ მოსამართლეთა გვარები, რომლებიც საზოგადოებაში უარყოფით დამოკიდებულებას იწვევენ, კონკრეტული საქმეების განხილვისას მედიაში არ მოიხსენიონ.
- სასამართლო სისტემაში არსებული კრიზისული სიტუაციების დროს, გაძლიერდეს მოსამართლეების მხრიდან მედიასთან კომუნიკაცია და დისკუსიისთვის ის მედიასაშუალებები გამოიყენონ, რომლებიც ნაკლებადაა დაკავშირებული მთავრობის ინტერესების გამტარებელ მედიასთან.
- კრიზისული სიტუაციების დროს, სასამართლო სისტემის დამცველად უმეტეს შემთხვევაში თავად მოსამართლეები, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

მოსამართლე წევრები და მთავრობის წარმომადგენლები გვევლინებიან, ხოლო მათ წინააღმდეგაა დანარჩენი საზოგადოება (იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ოპოზიციური პარტიები, უცხოელი ელჩები). შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ კომენტარის გაკეთებისას მოსამართლეებმა შეძლონ ისეთი მესამე პირის დამოწმება, რომ მათი არგუმენტები საზოგადოებისთვის უფრო დამაჯერებელი გახდეს.

- სასამართლოებმა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებმა ინტენსიურად გამოიყენონ სოციალური გვერდები დამატებითი განმარტებების გასაკეთებლად იმ თემებზე, რაც უკვე ტელევიზიაში გაშუქდა.

გამოყენებული ლიტერატურა

- დენის უილკოქსი, გლენტ კამერონი. (2011) საზოგადოებრივი აზრი და დარწმუნება. თავი 9.
- თამარ ალფაიძე. (2008). მედია და სამართლალი. თავი 4. *სასამართლო ხელისუფლება და მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.*
- მარინა მუსხელიშვილი. (2006) სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი. თავი 12 : *საქართველოს მასმედია* (გვ.100).
- Christopher J. Casillas, Peter K. Enns, Patrick C. Wohlfarth. (2010). How Public Opinion Constrains the U.S. Supreme Court. (pp.79-82) .
- Coombs, W.T. and Holladay, S.J. (2005) 'Exploratory study of stakeholder emotions: *Affect and crisis*', in N.M. Ashkanasy, W.J. Zerbe and C.E.J. Hartel (eds.), Research on Emotion in Organizations.
- David Weiner. (2006). Crisis Communications: *Managing corporate reputation in the court of public opinion.*
- Frank Webster. (2006) Theories of the Information Society, pp.125-160, Information and the market: Herbert Schiller.
- Fombrun, C.J. and van Riel, C.B.M. (2004). Fame & Fortune: *How Successful Companies Build Winning Reputations*, Prentice-Hall Financial Times, New York.
- Florian Sauvageau, David Schneiderman and David Taras with Ruth Klinkhammer and Pierre Trudel Vancouver. (2006). The Last Word: *Media Coverage of the Supreme Court of Canada.*
- James E. Grunig, Todd Hunt, Managing Public Relations (1984). Holt, Rinehart, and Winston, New York.
- Janet Buttolph Johnson, H. T. Reynolds, Jason D. Mycoff. (2015). *Political Science Research Methods*, 8th edition.
- Johnson, Timothy R., and Andrew D. Martin. (1998). "The Public's Conditional Response to Supreme Court Decisions." American Political Science Review 92(2): 299–310.

- John A. Fortunato. (2005). Making Media Contents: influence of Constituency Groups on Mass Media, Framing and content providers.
- Habermas, J. (2006) Political Communication in Media Society - Does Democracy still enjoy anepistemic dimension?
- Habermas, Jürgen. (1962). The Structural Transformation of the Public Sphere: An Inquiry into a Category of Bourgeois Society.
- Habermas, Jürgen. (1976). Communication and the Evolution of Society.
- Ray Surette. (2010). Media, Crime, and Criminal Justice: Images, Realities, and Policies, 4th Edition, Chapter 5
- Richard Funston.(2014). The Supreme Court and Critical Elections*, San Diego State University.
- Rosalee A. Clawson, Harry C. "Neil" Strine IV and Eric N. Waltenburg, Framing Supreme Court Decisions: The Mainstream versus the Black Press, Source: Journal of Black Studies, Vol. 33, No. 6 (Jul., 2003), pp. 784-800 Published by: Sage Publications
- Schiller, H. (1996). Information Inequality.
- Walter Lippmann, Public opinion, chapter 1: The World Outside and the Pictures £n Our Heads, the free press, New York Collier-Macmillan Limited, London.
- ინფორმაციის თვისუფლებისა და განვითარების ინსტიტუტი -IDFI (2019) : „საკონსტიტუციო სასამართლოს მონიტორინგის შედეგები“ , მოძიებულია 6 მაისი, 2019 https://idfi.ge/public/upload/IDFI_Photos_2018/Rule_of_law/monitoring_results_of_the_constitutional_court_of_georgia_geo.pdf
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-CRRC (2019): „საზოგადოების განწყობა საქართველოში“, მოძიებულია 5 მაისი, 2019 https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia_April_2019_Public_Political%20Poll_GEO_Final.pdf
- კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი-CRRC (2018): „საქართველოს მოსახლეობის ცოდნა და დამოკიდებულება სასამართლ სისტემის მიმართ“,

მოძიებულია 5 მაისი, 2019 http://crrc.ge/project/facilitating-implementation-of-reforms-in-the-judiciary-fair/101/5c07b4422f27a

- საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო (2018): „კორუფციის რისკები სასამართლო სისტემაში“, მოძიებულია 5 აპრილი, 2019 https://www.transparency.ge/ge/post/korupciis-riskebi-sasamartlo-sistemashi
- საქართველოს უზენაესი სასამართლო (2018): „საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის განცხადება გადადგომის შესახებ“, მოძიებულია 5 აპრილი, 2019 http://www.supremecourt.ge/news/id/1769

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Sopio Makharadze

Judiciary system crises representation in Georgian television media

Mass Communication and Media Studies

A thesis submitted in parial fullfilment of the requirements for degree of master in

Mass Communication and Media Studies

Thesis supervisor: Manana Shamilishvili

Associate Proffesor at Tbilisi State University

Tbilisi
2019